ახალი განათლება

29 ივნისი – 5 ივლისი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№24 (778) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



ბავშვთა უფლებები

ნიკოლოზ რაჭველი საქართველოში იუნისეფის ელჩი გახდა

გვერდი 3

„ჩემო ძვირფასებო, უხვად ვიღებ თქვენს გულიან მოღოცვებს, ვკითხულობ ჩემდამი სიყვარულით სავსე სიტყვებს და გული მევსება შეუფასებელი სიხარულით! გაეროს ბავშვთა ფონდის ელჩობა ძალიან ჰგავს დიპლომატიურ ბალს. ისეთ უნდა ჯაჭვი მუსიკოსი იყო, ისეთ უნდა ჯაჭვად იცნობდე მასალას და ბრწყინვალედ შეგეძლოს მისი დიპლომატიური ამოგივა, თუ შენ გაჩუმებ თავს ან მოიყრის ამბავ მუსიკოსებისა, ხათა შენთან ერთად ამ დიდებულ ბალს შეუერთონ თავიანთი ნიჭი, შრომა, პროფესიონალიზმი და შემოქმედებითი ენთუზიაზმი. ოგორც ელჩსაც ასეთი გამომივა, თუ ეს ბავშვებზე და მათ ეფექტურობაზე ზრუნვის, მათი უფლებების დაცვის საერთო საქმეში თქვენ ან შემომიერთდებით. დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენთან ერთად დავამარცხებთ ჩვენში ჯერ ჯიდევ არსებულ სტიგმას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარებისა თუ მოზრდილების მიმართ, დავამარცხებთ ძალადობას ოჯახებსა თუ ქუჩებში და უკეთესობისკენ შევცვლით ჩვენი ქვეყნის მომავალს!

*ულრმესი მადლობა გაეროს, ბავშვთა ფონდს **unicef**-ს, მის წარმომადგენლობას საქართველოში და თეო ჯორბენაძეს, რომლის გამორჩეული ღვაწლი გახდა საფუძველი ასეთი მძლავრი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩემდამი გამოცხადებული ნდობისა!*

მედამ მიგულეთ თქვენს სამსახურში ჩემი მუსიკით, ჩემი ყოველი წუთით, რომელსაც მსმენელებზე, ჩემს ქვეყანაში გემოვნების სტანდარტის ამაღლებაზე, მეგობრებზე, ოლეგებზე, ბავშვებზე და მოხუცებზე ფიქრში ვატარებ...“

ნიკოლოზ რაჭველი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!
გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია, სექტემბრიდან, იცვლის მისამართს:
წერეთლის გამზ. №126

კონფერენცია

რა პერსპექტივა აქვს არაფორმალური განათლების განვითარებას საქართველოში

გვერდი 2

ინკლუზიური განათლება

შტრიხები პროექტიდან „ფეხი ავუწყოთ ევროპულ ლირებულებებს“

გვერდი 4

ლიტერატურული ტური

გალაკტიონი და თბილისი

გვერდი 5

საუბრები ლიტერატურაზე

ლიტერატურული ინტერპრეტაცია

მხატვრული ნაწარმოების წაკითხვისათვის

გვერდი 10

კონფერენცია

რა პერსპექტივა აქვს არაფორმალური განათლების განვითარებას საქართველოში

ლალი ჯელაძე

22 ივნისს, არაფორმალური განათლების აღიარების საკითხის აქტუალიზაციისა და არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხებისა და პერსპექტივების განხილვის მიზნით, კონფერენცია ჩატარდა.

არაფორმალური განათლების (რომლის მიღება სწავლის ნებისმიერ მსურველს შეუძლია საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან მათ მიღმა) მიზანი ოფიციალური სერტიფიკატის ან დიპლომის მიღება არ არის. თუმცა, ამ ფორმატში მიღებული ცოდნისა და უნარების აღიარების მექანიზმების არსებობა ზრდის არაფორმალური განათლების მნიშვნელობას როგორც დასაქმებისთვის, ასევე სწავლის გაგრძელებისთვის ფორმალურ გარემოში და მას განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში.

არაფორმალური განათლების აღიარების საკითხს დღის წესრიგში აყენებს არა მხოლოდ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, არამედ განათლების სფეროს თანამედროვე მიდგომები. მოსალოდნელია ცვლილებები – კვალიფიკაციების მინიჭება მხოლოდ ფორმალური განათლების გზით არ მოხდება.

არსებულ მდგომარეობაზე, მიღწევებსა და გამოწვევებზე ისაუბრა პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტმა, **ანასტასია ქიტიაშვილმა.** მან წარმოადგინა აღიარების მეთოდოლოგია და პილოტირების შედეგები, რომელიც განხორციელდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს პროექტში „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“.

საქართველოში მიმდინარე პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანია პროფესიული განათლების სისტემის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ, რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბება. არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფციისა და მიდგომების საერთო კონტექსტი გათვალისწინებულია საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“ და „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში 2013-2020 წწ“.

თანამედროვე მიდგომის მიხედვით, კვალიფიკაციების მინიჭება მხოლოდ ფორმალური განათლების გზით არ ხდება. დღეისათვის, მეტი აქცენტი კეთდება „არაფორმალური განათლების აღიარებაზე (VNFIL)“, რაც კვალიფიკაციებისადმი ფართო მიდგომას გულისხმობს; ეს სცილდება კვალიფიკაციის მოპოვების მიზნით, მხოლოდ ფორმალური განათლების გზით, მიღებული კრედიტების დაგროვებას.

➪ **ფორმალური განათლება** (formal education) – გულისხმობს პროგრამებსა და კვალიფიკაციებს, რომლებიც შეთავაზებულია ფორმალური განათლების სისტემის ფარგლებში, სკოლებში, კოლეჯებსა თუ უნივერსიტეტებში ზოგადი, საშუალო და უმაღლესი განათლების საფეხურზე.

➪ **არაფორმალური განათლება** (non-formal learning) – გულისხმობს ისეთ დაგეგმილ სასწავლო აქტივობებს, რომლებიც ორგანიზებულია ფორმალური განათლების სისტემის გარეთ, მათ შორისაა ზრდასრულთა განათლება და ტრენინგი (სამუშაოსთან დაკავშირებული ტრენინგკურსები, ონლაინ ან დისტანციური სწავლება, ან სათემო განათლება, რომელიც ორგანიზებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ).

➪ **თვითსწავლა** (informal learning) – გულისხმობს ისეთ სწავლას, რომელიც არ არის ორგანიზებული ან სტრუქტურირებული; პირი უნარებსა და ცოდნას იძენს დაუგეგმავად ან უნებლიედ, ცხოვრებისა და მუშაობის პროცესში.

არაფორმალური განათლების აღიარება კომპეტენტური ორგანოს მიერ იმის დადასტურებაა, რომ პირის მიერ ფორმალურ, არაფორმალურ გარემოში თუ თვითსწავლის გზით შეძენილი სწავლის შედეგები (ცოდნა, უნარები და კომპეტენციები) წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდა და ისინი აკმაყოფილებენ აღიარების სტანდარტების მოთხოვნებს. აღიარება, როგორც წესი, დასტურდება სერტიფიკატით.

არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი და პროცედურები მოიცავს ოთხ ეტაპს: **კომპეტენციების** (მაგ., სწავლის შედეგები) **იდენტიფიცირება**, რომელიც პირს შეძენილი აქვს არაფორმალური და თვითსწავლების გზით; პირის სწავლის შედეგების დამადასტურებელი **დოკუმენტების შეგროვება**, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად; პირის **სწავლის შედეგების შეფასება** წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე და კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევების **სერტიფიკატით დადასტურება**.

„პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში, საქართველოში მთელი რიგი პროცესები მიმდინარეობს, რომლებიც შეიძლება არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან წინაპირობად განვიხილოთ“ – ამბობს ანასტასია ქიტიაშვილი და ამ პროცესებს ასახელებს:

➪ პროფესიული სტანდარტების შემუშავება, რომლებიც პროფესიული კვალიფიკაციის საფუძველია;

➪ პროფესიული კვალიფიკაციების მოდულური სტრუქტურა;

➪ აქცენტი სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე, რომელიც უკავშირდება კომპეტენციებზე დაფუძნებულ ტრენინგსა და შეფასებას;

➪ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს განვითარება, რომელიც შეფასების შიდა და გარეშემოწმებას (ვერიფიკაციას) მოიცავს.

„2013-17 წლების განმავლობაში მომზადდა კონცეფციის დოკუმენტი – „არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვა საქართველოში“, რომელიც განსაზღვრავს არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბებისათვის საჭირო მიდგომებსა და ნაბიჯებს; შემუშავდა მეთოდოლოგიის დოკუმენტი და ჩატარდა მეთოდოლოგიური მიდგომების პილოტირება სოფლის მეურნეობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში. მიმდინარეობს მუშაობა არაფორმალური განათლების აღიარების წესის განახლებაზე. არსებული წესის საფუძველზე (ბრძანება №8, 03.02.2011. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), აღიარების გარკვეული გამოცდილება არსებობს ზოგიერთ კოლეჯში. თუმცა, არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბება მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, შესაბამისი მეთოდოლოგიური და ადამიანური რესურსების განვითარებას, ფინანსური რესურსების ორგანიზებას, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენასა და გაზიარებას, ინფორმირების შესაბამისი სისტემების ჩამოყალიბებას, სოციალური პარტნიორებისა და ზოგადად, დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას.“ – ამბობს ანასტასია ქიტიაშვილი.

არაფორმალური განათლების კონცეფციაზე, რომელიც ძალიან პოპულარულია დასავლეთ ევროპისა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, საუბრისას, ზრდასრულთა განათლების სპეციალისტი **თეა გულუა** აღნიშნავს, რომ მისი ჩამოყალიბების აუცილებლობა შრომის ბაზრის მოთხოვნებმა გაჩინა, რომელსაც ფორმალური განათლება ვეღარ პასუხობდა. *„არაფორმალური განათლება, როგორც კონცეფცია, პირველად, გვიან 80-იანებში გაჩნდა, მაშინ როცა ცხადი გახდა, რომ ფორმალურ განათლებას დამოუკიდებლად აღარ შეეძლო საზოგადოების განვითარება და ვეღარც სწავლის საჭიროებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს პასუხობდა.*

არაფორმალური განათლების კონცეფცია კარგადაა ცნობილი და ძალიან პოპულარულია დასავლეთ ევროპისა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. ბოლო ათწლეულებია ამ კონცეფციის ბუმის პირობებში ვცხოვრობთ. ასეთი ყურადღების მიზეზი იმის გაცნობიერებაა, რომ ფორმალურ განათლებას აღარ შეუძლია შემოგვთავაზოს ის, რაც პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის გვჭირდება – ამბობს თეა გულუა, – *მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჯერ კიდევ ფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულებების მონოპოლიის მოწმეები ვართ, არაფორმალური განათლება უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების პროცესში.*

საქართველოც, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ მომხდარა ამის პირდაპირი დეკლარირება, არაფორმალური განათლება ახალი ამოცანების გადაჭრის ვალდებულების წინაშე აღმოჩნდა. ძრავის ფუნქცია, ამ შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობის/დონორების დახმარებით, უპირველესად, სამოქალაქო საზოგადოებამ – საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ითავეს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, არაფორმალური განათლების პოლიტიკის და მისი ელემენტების ფორმირების გზაზე გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. ამასთან მიმართებაში, უნდა ვახსენოთ პროფესიული განათლების ახალი კანონ-პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის (Lifelong Learning) პრინციპებს და ხელს უწყობს, ფორმალურ განათლებასთან ერთად, არაფორმალური, ანუ ინფორმალური განათლების განვითარებას, აღიარების მექანიზმებზე საუბრობს.

საქართველოშიც არაფორმალური განათლების პრიორიტეტი სწორედ მისი შემავსებელი ფუნქციაა, რაც გარემოსთან ადაპტაციასა და შრომის ბაზარზე კონკურენციის ამაღლებას ემსახურება (კომპიუტერული და ინგლისური ენის, ბუღალტერიის, მენარმეობისა და მცირე ბიზნესის კურსები, ეთნიკური უმცირესობებისთვის – სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსები და სხვ). ასეთი განათლების მიღება, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან მათ მიღმა, შეგვიძლია ყველას, ვისაც სწავლა გვსურს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ჩვენი მიზანი არ იყოს ოფიციალური სერტიფიკატის ან დიპლომის მიღება, ამ ფორმატში მიღებული ცოდნისა და უნარების აღიარების მექანიზმების არსებობა ზრდის არაფორმალური განათლების მნიშვნელობას როგორც დასაქმებისათვის, ასევე შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის უკვე ფორმალურ გარემოში.“

როგორია არაფორმალური განათლება უნივერსიტეტებში, როგორ თანამშრომლობს უნივერსიტეტი არაფორმალური განათლების მიმწოდებლებთან – ამ საკითხებს მოიცავდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის **გიორგი ღავთაძის** პრეზენტაციის თემა.

კონფერენციის მონაწილეებს არაფორმალური განათლების სისტემის განვითარების ხედვა არაფორმალური განათლების მიმწოდებელმა, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა, ირინა ხანთაძემ გააცნო. მისი აზრით, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის მკაფიო და გამჭვირვალე მექანიზმების არსებობა, აუცილებელია განათლების ამ სექტორის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებისათვის. *„მე, როგორც არაფორმალური განათლების მიმწოდებელი, დავამატებ იმასაც, რომ ეს ინიციატივა, ასევე, ხელს შეუწყობს არაფორმალური განათლების მიმწოდებელთა გაძლიერებას და, ზოგადად, ხარისხის ზრდას“* – აღნიშნა მან.

არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბებლად დაგეგმილ ცვლილებებზე, სისტემის დონეზე, ისაუბრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსმა, **ნინო ბერელიძემ**, ხოლო მუნიციპალიტეტის დონეზე არაფორმალური განათლების მხარდამჭერ ინიციატივებზე – თბილისის მერიის განათლების, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენელმა, **გოგი ჩიქოვანმა**.

კონფერენცია დისკუსიით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები, არაფორმალური განათლების მიმწოდებლები, საერთაშორისო და ადგილობრივი განათლების ექსპერტები.

კონფერენცია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „საქართველოს აგრობიზნესის ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური პროფესიული განათლების განვითარების პროექტის“ ფარგლებში ჩატარდა. პროექტი ხორციელდება ჩეხური ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ – PIN (People in Need) მიერ, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან – CTC პარტნიორობით.

როგორც ორგანიზატორებმა აღნიშნეს, არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბების გზაზე კონფერენციამ შესაძლებლობა მისცა მონაწილეებს ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ და შეეჯერებინათ პოზიციები. კონფერენციის მიზანიც სწორედ არაფორმალური განათლების აღიარების საკითხის აქტუალიზაცია და მასთან დაკავშირებული საკითხებისა და პერსპექტივების საჯარო განხილვა იყო.

ბავშვთა უფლებები

ნიკოლოზ რაჭველი საქართველოში იუნისეფის ელჩი გახდა

ლალი ჯელაძე

26 ივნისს, საგანგებო ღონისძიებაზე, **ნიკოლოზ რაჭველს**, კომპოზიტორს, დირიჟორსა და საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელს, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) ელჩის წოდება მიენიჭა. მის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ადვოკატირებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით.

„მოხარულები ვართ, რომ ნიკოლოზ რაჭველი შემოუერთდა იუნისეფის გუნდს, მის მხარდამჭერებსა და ელჩებს – აღნიშნავს **ლაილა ომარ გადი**, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში – *იგი აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ბავშვთა ფონდთან, ბოლო წლების განმავლობაში, ბავშვთა უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, გვეხმარება კიდევ უფრო ფართო ფენებს მისწვდეს ჩვენი გზავნილი, რომ ყველა ბავშვი უნდა სარგებლობდეს თანაბარი უფლებებით და იყენებდეს საკუთარ პოტენციალს სტიგმისა და ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში. იმედი გვაქვს, ნიკოლოზ რაჭველის ძალისხმევა კვლავ დაგვეხმარება ადვოკატირებასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში, რომ საქართველოში დაცული იყოს ბავშვების უფლებები.“*

„ჩემთვის ეს პატივია და უდიდესი პასუხისმგებლობა. ყველაფერს გავაკეთებ საქართველოში ყველაზე დაუცველი ბავშვების უფლებების ადვოკატირებისთვის.“ – ამბობს იუნისეფის ელჩი საქართველოში.

ელჩის ამპლუაში იგი დაეხმარება იუნისეფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვასა და იმ ნეგატიური სოციალური ნორმების შეცვლაში, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვთა მიმართ ძალადობას.

ნიკოლოზ რაჭველი, 2014 წლიდან, ეხმარება გაეროს ბავშვთა ფონდს და კონცერტებისა და საჯარო გამოსვლების საშუალებით ცდილობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდაჭერას და საზოგადოების ინფორმირებას ბავშვთა უფლებების შესახებ. წელს ნიკოლოზმა აქტიური მონაწილეობა მიიღო იუნისეფის საკომუნიკაციო კამპანიაში „დაინახე ყველა ფერი“, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ არსებული სტიგმის აღმოფხვრა.

„სტატუსის გარეშეც, მე და ჩემი მეგობრები, არაერთ კამპანიაში ვიყავით ჩართულები, რომლებიც ბავშვებს უკავშირდება და რომლებიც გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციირებით ხდება საქართველოში. მაგრამ, როცა უკვე სტატუსი გაქვს, პასუხისმგებლობაც გაცილებით დიდია. უფრო ღრმაა დამოკიდებულება და გაცნობიერება იმისა, თუ რა შეგიძლია გააკეთო ჩვენი ქვეყნის ბავშვების მომავლისთვის.“ – ამბობს იუნისეფის ელჩი საქართველოში.

გაეროს ბავშვთა ფონდი აფასებს ხელოვანთა კავშირის „კონცეპტ-არტ“, საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის, ცნობილი ხელოვანების – **ნინო მაჩაიძის**, **ლიზა ბათიაშვილის** და **დავით ალდაშვილის** მონაწილეობას იუნისეფის საკომუნიკაციო კამპანიაში „დაინახე ყველა ფერი“.

იუნისეფის ელჩები, მთელ მსოფლიოში, თავიანთ შესაძლებლობებსა და აღიარებას იყენებენ იმისათვის, რომ საზოგადოებისა და მთავრობების ყურადღება მიაპყრონ ბავშვთა უფლებების დაცვას და თავიანთი წვლილი შეიტანონ ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

დენი ქეი პირველი იყო, ვინც 1954 წელს მიიღო საეთაშორისო ელჩის წოდება; მან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის განვითარებად ქვეყნებში, იმოგზაურა, რათა გაევრცელებინა ინფორმაცია ბავშვთა უფლებებზე. ამ საქმეს ის გარდაცვალებამდე, 1987 წლამდე, აგრძელებდა და დაამკვიდრა მნიშვნელოვანი სტანდარტები გაეროსა და იუნისეფის კეთილი ნების მომდევნო ელჩებისთვის. შემდეგ მას შეუერთდნენ ოდრი ჰეპბერნი და სხვ. ამჟამად არსებობს სრულიად გამორჩეული სია საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული ელჩებისა.

იუნისეფის კეთილი ნების ელჩები არიან საქვეყნოდ ცნობილი მსახიობები და გამორჩეული ნიჭის ადამიანები: ქეითი პერი, სერენა უილიამსი, ლიამ ნისონი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, დევიდ ბექჰემი, ჰარი ბელაფონტე, ორლანდო ბლუმი, ვუპი გოლდბერგი, ლეო მესი, რიკი მარტინი, შაკირა, ვანესა რედგრეივი, სუზან სარანდონი, მია ფეროუ, სერჯიო რამოსი, ფრანჩესკო ტოტი, კლაუდია შიფერი, ევან მაქგრეგორი, რობინ უილიამსი, სარა ჯესიკა პარკერი და სხვები.

გაეროს ბავშვთა ფონდის ელჩები

რიკი მარტინი unicef-ის კეთილი ნების ელჩია და აქტიურადაა ჩაბმული ბავშვთა სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში: *„მე მუშაობა ცხრა წლის ასაკში დავიწყე, მაგრამ ეს ჩემი არჩევანი იყო,* – განაცხადა რიკი მარტინმა, – *ამ ბავშვებს არა აქვთ არჩევანის შესაძლებლობა. ისინი იძულებით ხდებიან მონობის მსხვერპლი. ბავშვების ტრეფიკინგი გლობალური პრობლემაა, რომელიც ძალიან ბევრ ბავშვს შეეხო. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, წელიწადში, ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა ბავშვებში 1.2 მილიონს აჭარბებს. ხშირ შემთხვევაში, ბავშვები და მათი ოჯახის წევრები ვერ აცნობიერებენ ტრეფიკინგის საშიშროებას, რადგან ჰგონიათ, რომ დასაქმებისა და ცხოვრების უკეთესი პირობები მხოლოდ საზღვარგარეთაა.“*

მისი აღმატებულება იორდანიის **დედოფალი რანია**, მსოფლიო ბავშვთა გულმოდგინე და გამოკვეთილი დამცველი, 2007 წლის იანვარში, დაინიშნა unicef-ის პირველ ბავშვთა საპატიო დამცველად.

დედოფალი რანია, დიდი ხნის განმავლობაში, მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევდა unicef-ს და მის პროგრამებს იორდანიასა და მთელ მსოფლიოში. ის თან ახლდა unicef-ს პაკისტანში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად, ინდოეთის სასწავლო ცენტრებში, არგენტინის, ბრაზილიისა და მაროკოს სკოლებში, რათა მხარი დაეჭირა ყველა ბავშვის, განსაკუთრებით, გოგონების ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოფისთვის.

დედოფალი რანია ცნობილია თავისი საჯარო მოწოდებებით, ყოველთვის, როდესაც ბავშვთა უსაფრთხოებას საერთაშორისო კრიზისი ემუქრება. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მისი საჯარო მოწოდებები 2008 წლის ღაზას კონფლიქტთან დაკავშირებით: *„ჩვენი ადამიანობა არასრულფასოვანი ხდება, როდესაც ბავშვები, განურჩევლად ეროვნული წარმომავლობისა, სამხედრო ოპერაციების მსხვერპლი ხდებიან.“*

იორდანიაში დედოფალმა, როგორც საოჯახო საქმეთა ეროვნული საბჭოს პრეზიდენტმა, შეიმუშავა ბავშვთა საკითხების გადაწყვეტაზე მიმართული ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესება ჯანდაცვის, ზოგადი განათლების და ძალადობის, ექსპლუატაციისაგან დაცვის უზრუნველყოფის გზით.

ბავშვების განათლების შესაძლებლობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, მან ასევე დანიშნა სპეციალური პრემია თავის სამშობლოში. 2007 წელს კი, დაიწყო „მადრასატის“ განხორციელება, რაც გულისხმობს საჯარო სკოლების რეაბილიტაციას საჯარო, კერძო თუ არაკომერციული ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით. ის ჩართულია იორდანიის საგანმანათლებლო ინიციატივაში, რომელიც 2003 წელს დაიწყო და წარმოადგენს ინოვაციურ ინტერნეტსწავლების პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს განათლების შესაძლებლობების ზრდას, ეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს ინიციატივა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებმაც გადაიღეს.

მსოფლიოში ცნობილი მომღერალი **შაკირა მაბარაკი** იუნისეფის კეთილი ნების ელჩად 2003 წლის 24 ოქტომბერს დაინიშნა. მას სწამს, როგორც ხელოვანს, შეუძლია ხელი შუწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებების საკითხებში: *„მიმაჩნია, რომ მოვალე ვარ, ვისარგებლო შესაძლებლობებითა და პოპულარობით, რომელიც არტისტულმა კარიერამ მომიტანა, რათა ხალხის ყურადღება მივაპყრო რეალურ პრობლემებს რეალურ სამყაროში და შევიტანო წვლილი მათი გადაჭრის რეალური გზების პოვნაში. დარწმუნებული ვარ, დედამიწა უფრო მიმზიდველი გახდება საცხოვრებლად, თუ ყოველი ჩვენგანი იტვირთებს პასუხისმგებლობას სხვის ბედზე.“*

შაკირამ დააფუძნა ფონდი „Pies Descalzos“, რომელიც მის მშობლიურ კოლუმბიაში ეხმარება ადგილნაცვალ და მარგინალურ ბავშვებს სრულფასოვანი განათლების მიღებაში. საგანმანათლებლო აღჭურვილობის შეძენაზე მიმართული პროექტების გარდა, ფონდი ბავშვებს უზრუნველყოფს საკვებით და დამატებითი საგანმანათლებლო საქმიანობებით ხელოვნების, მუსიკის და რეკრეაციულ სფეროში. ასევე, ოჯახებს უქმნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს. გარდა ამ ფონდისა, შაკირა დამფუძნებელია ასევე „Barefoot“ ფონდის (რომელიც მსოფლიო მასშტაბით მუშაობს განათლების უნივერსალურ ხელმისაწვდომობაზე) და თანადამფუძნებელი – ALAS-ისა, რომელიც იშიფრება, როგორც ლათინოამერიკელი მომღერლებისა და ბიზნესმენების მოძრაობა, რომელიც ადრეული ასაკის ბავშვების განვითარებაზე მუშაობს.

როგორც კეთილი ნების ელჩმა, შაკირამ, საჯარო მოხსენებების, თანხების მოძიებაში მონაწილეობის და unicef-ის ეროვნული კომიტეტის ეგიდით განხორციელებული სხვა საქმიანობების მეშვეობით, ხელი შეუწყო unicef-ის საქმიანობის პოპულარიზაციას და მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა HIV/შიდსი, განათლება და ბავშვის დაცვა.

ფეხბურთის ბრიტანელ ვარსკვლავს, **დევიდ ბექჰემს** მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს მთელ მსოფლიოში. 2005 წლის 10 იანვარს, ინგლისის გუნდის ყოფილი კაპიტანი დაინიშნა unicef-ის კეთილი ნების ელჩად, სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში. ბექჰემმა unicef-ის ელჩობა მაშინ დაიწყო, როცა „მანჩესტერ იუნაითედის“ საფეხბურთო კლუბში თამაშობდა. 1999 წლის ნოემბერში, გუნდმა „unicef იუნაითედის“ სახელით დაიწყო თანამშრომლობა გაერთიანებული სამეფოს კომიტეტთან, რათა მოეზიდა თანხები unicef-ისთვის და გაევრცელებინა მის მისიასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ბექჰემი და მისი გუნდის წევრები აქტიურად ჩაერთვნენ unicef-ის კამპანიებსა და თანხების მოძიების საქმიანობებში, განათლებისა და რეკრეაციული პროგრამების ჩამოსაყალიბებლად, რაც მოიცავდა ბავშვებისთვის ფეხბურთის თამაშის შესაძლებლობას მთელ მსოფლიოში.

ელჩად დანიშვნის პირველივე დღეებში, ბექჰემი ეწვია იუნისეფის კოპენჰაგენის მარაგების (რეზერვების) განყოფილებას, რათა ენახა, თუ რა კეთდებოდა 2004 წლის ინდოეთის ოკეანის ცუნამის მიერ დაზარალებული ბავშვების დასახმარებლად.

ბექჰემი, ასევე, შეუერთდა კამპანიას *„გავერთიანდეთ ბავშვებისთვის, გავერთიანდეთ შიდსის წინააღმდეგ“* და, მის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ სარეკლამო კლიპში. გარდა ამისა, ამ კამპანიის მხარდასაჭერად, დევიდმა და მისმა მეუღლემ, ვიქტორია ბექჰემმა იუნისეფი შეარჩიეს მათ მიერ, 2006 წლის 21 მაისს, ორგანიზებული საქველმოქმედო საღამოს ბენეფიციარად.

unicef-ის მხარდამჭერ საქმიანობებს შორის მნიშვნელოვანია ბექჰემის ვიზიტი სიერრა ლიონეში 2008 წელს. ის მხარს უჭერდა unicef-ის 2008 წლის მსოფლიოს სახელმწიფოების ანგარიშს ბავშვთა დაცვის სფეროში, რომელშიც, ძირითადად, ბავშვების სიკვდილიანობა იყო აქცენტირებული.

ცნობილი მსახიობი და მატერიალური ხელოვნების ექსპერტი **ჯეკი ჩანი**, UNICEF-ის და UNAIDS-ის კეთილი ნების ელჩად 2004 წლის აპრილში, კოლუმბიაში ვიზიტის დროს, დაინიშნა.

როგორც კეთილი ნების ელჩი, იგი აქტიურად უჭერს მხარს HIV/შიდსის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას, აქტიურად უპირისპირდება სტიგმასა და დისკრიმინაციას, რომელიც თან ახლავს ამ პრობლემას და რომლის შედეგსაც განსაკუთრებით მძიმედ იმკიან ბავშვები.

2004 წელს პირველად ეწვია კამბოჯას, სადაც გაეცნო unicef-ის მიერ დაფინანსებულ HIV/AIDS-ის მატარებელ და ნაღმზე აფეთქებულ ბავშვთა რეაბილიტაციასა და გათვითცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ პროექტებს. იმყოფებოდა ქალაქებში, რომლებიც ჯერ კიდევ დანაღმულია და დიდ საფრთხეს წარმოადგენს ადგილობრივი ბავშვებისა და მათი თემისათვის. ჩანი უშუალოდ შეხვდა HIV/AIDS-ის მატარებელ ბავშვებსა და ახალგაზრდებს.

2005 წლის იანვარში, ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე ცუნამის შემაძრწუნებელი კატასტროფის შემდეგ, ჩანმა პირადი წვლილი შეიტანა მისი შედეგების ლიკვიდაციის პროცესებში, ნახევარი მილიონი ჰონ-კონგის დოლარის ოდენობით (დაახლოებით 64 000 აშშ დოლარი) შემოწირულობა გაიღო.

კამბოჯაში დაბრუნებულმა, გააგრძელა ქვეყანაში არსებული ნაღმების შესახებ მოსახლეობის გათვითცნობიერების დონის ამაღლებაზე მიმართული კამპანია. ამ ვიზიტისას, მას თან ახლდა ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელი **ედვინ მოსისი**, რომელიც ადგილზე გაეცნო unicef-ის დახმარებით განხორციელებულ საგანმანათლებლო პროექტებს ნაღმების აღმოჩენისა და განაღმვის სფეროში.

ამავე მისიის ფარგლებში, ჩანი, unicef-თან ერთად, ეწვია ვიეტნამს, HIV/AIDS-ით ინფიცირებული ბავშვების მიმართ თანაგრძნობის გამოხატვის აუცილებლობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით. იგი იმყოფებოდა ვიეტნამის ერთერთ პროვინციაში, სადაც HIV-ით ინფიცირებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, პირადად ესაუბრა ბავშვებს და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც „ემპათიის“ კლუბის რეგულარული წევრები არიან.

ინკლუზიური განათლება

შტრიხები პროექტიდან „ფეხი ავუწყოთ ევროპულ ღირებულებებს“

ქუთაისის №8 საჯარო, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის შალვა ნიშნიანიძის სახელობისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის ტარიელ კვირიკაშვილის სახელობის საჯარო სკოლების (დირექტორები: **თეა ჩხეტია**, **მამუკა ქვაჩაკიძე**, **ნინო კოტორეიშვილი**) სპეციალური მასწავლებლები: **მზია ზარნაძე**, **იზოლდა აფრიდონიძე** და **მარინე იოსებაშვილი**, მრავალჯერადი შეხვედრისა და აზრთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ჩავერთეთ ერთობლივ კვლევით პროექტში „ფეხი ავუწყოთ ევროპულ ღირებულებებს“ (ინკლუზიური განათლება და საზოგადოება).

პირველ ეტაპზე, ჩვენს მიზანს წარმოადგენდა გავცნობოდით სკოლების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებს, რესურსოთახებსა და სსსმ მოსწავლეთა სასწავლო გარემო პირობებს; შეგვესწავლა საზოგადოებრივი აზრი სსსმ მოსწავლეთა საჯარო სკოლებში სწავლების შესახებ, ამ მიზნით შევხვედროდით ქალაქისა და სოფლის მოწინავე ადამიანებს, გავსაუბრებოდით სკოლების დირექტორებს, პედაგოგებსა და მშობლებს, მოგვეწყო ერთობლივი გასვლითი ღონისძიებები და ა.შ.

მეორე ეტაპზე, მიზნად დავისახეთ, ევროპული ქვეყნების მოწინავე გამოცდილების მაგალითზე, საზოგადოებისათვის დაგვენახვებინა, თუ როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ასეთ ბავშვებთან. გვეჩვენებინა მათთვის, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში, აღნიშნული საკითხისადმი, არ აქვს ადგილი დისკრიმინაციულ მიდგომას და ჩვენ, ქართველებს, თუკი გვინდა უვიზო მიმოსვლა და ევროპის დიდი ოჯახის კავშირის წევრობა, უნდა გავხდეთ თანაზიარი ევროკავშირის სხვადასხვა მისწრაფებებისა და მიმართულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის.

დასახული ამოცანის განსახორციელებლად, პროექტში „ფეხი ავუწყოთ ევროპულ ღირებულებებს“ ჩართულმა მეგობარმა სკოლებმა მოვამზადეთ განაცხადი, პროექტის დაწყების თარიღად განვსაზღვრეთ 2015 წლის 10 ნოემბერი, დამთავრების თარიღად კი – 2017 წლის 10 ივნისი. სულ პროექტის მიმდინარეობა 19 თვით გაიწერა. მოქმედების არეალად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავადგინეთ ქუთაისის №8, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლები. განისაზღვრა პროექტის მოსარგებლეთა რიცხვი, პროექტის მიმდინარეობაზე პასუხისმგებელი პირები და მათი საკონტაქტო ინფორმაცია. აღვწერეთ პროექტის პრობლემა, განვსაზღვრეთ მიზანი, დავსახეთ ამოცანები. პროექტის სწორად და ორგანიზებულად წარმართვისათვის შევადგინეთ სამოქმედო გეგმა. სამიზნე სკოლებში ვაჩვენეთ კინოფილმები, ჩავატარეთ ლექცია-საუბრები პედაგოგებთან და მოსწავლეებთან.

პროექტის ფარგლებში, ურთიერთობა დავამყარეთ იმერეთის რეგიონის დღის ცენტრებთან; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, შშმ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი, შშმ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოვაწყვეთ, რომელშიც, პროექტში მონაწილე სკოლების გარდა, აქტიურად ჩავრთეთ ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, თერჯოლისა და სამტრედიის შშმ ბავშვთა დღის ცენტრები. მათ თავიანთი აღსაზრდელების ნამუშევრები წარმოადგინეს.

შშმ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ექსპოზიციის ფოტო და ვიდეოგადაღების გარდა, მომზადდა გამოფენის ამსახველი სლაიდშოუ და განთავსდა სკოლის ბლოგზე – 8skolakutaisi.blogspot.com.

2016 წლის იანვარში, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ჩავატარეთ სამიზნე სკოლების ადმინისტრაციის, პედაგოგიური და მშობელთა კოლექტივების ანკეტური გამოკითხვა. გამოიკითხა 200-ზე მეტი რესპონდენტი. სამუშაო პროცესი დაფიქსირებულია ფოტომასალებში. აპრილში დასრულდა სამიზნე სკოლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მონიტორინგი. შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. განსაკუთრებით ეს ითქმის სამიზნე სკოლების ადმინისტრაციების მიმართ, რომლებმაც ინკლუზიური განათლების ცოდნის მაღალი ხარისხი გამოავლინეს. სასიამოვნოა, რომ მათ დაგეგმილი აქვთ რიგი აქტივობების განხორციელება, რათა ჯეროვნად მიიტანონ ინკლუზიური განათლების თანამედროვე მოთხოვნები მასწავლებელთა და მშობელთა კოლექტივებამდე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასწავლებელთა და მშობელთა უმრავლესობა, გამართული სწავლებისათვის, მოითხოვდა აუდიო-ვიდეო და კომპიუტერულ ტექნიკას, ტრენინგების ჩატარების აუცილებლობას, შშმ ბავშვთა დღის ცენტრებთან თანამშრომლობას და მათი გამოცდილების გაზიარებას.

მაისში, სამიზნე სკოლებში, ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული სამოდელო ადაპტირებული გაკვეთილები, რომლებსაც ესწრებოდა სკოლების ხელმძღვანელობა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელი ჯგუფი. მათ ადაპტირებული სამოდელო გაკვეთილები დადებითად შეაფასეს.

7 და 9 ივნისს, პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში, მუხიანის საჯარო სკოლაში, გაიმართა ჯერ „ანბანის ზეიმი“, ხოლო შემდეგ – სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა;

3 ნოემბერს პარტნიორმა სკოლებმა მოვაწყვეთ საჯარო დასწრება ქუთაისის „ნიღბების თეატრში“. ამ საინტერესო დღის ამსახველი სლაიდშოუ განთავსდა ჩვენი სკოლის ბლოგზე;

8 დეკემბერს, ბაღდადის მუნიციპალიტეტის წითელხევის საჯარო სკოლაში, პროექტის ფარგლებში, სსსმ პირთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა;

16 იანვარს, ქუთაისის №8 საჯარო სკოლაში, განხორციელდა პროექტის „ფეხი ავუწყოთ ევროპულ ღირებულებებს“ კიდევ ერთი აქტივობა – „სიკეთე გადამდებია“. ერთ-ერთმა სსსმ მოსწავლემ (პირობითად, დავარქვათ X მოსწავლე) თავისი ხელით შესრულებული ნახატების გამოფენით, გაახარა მთელი სკოლა. მის მიერ გაკეთებულმა „სიკეთემ“ ნაყოფი გამოიღო, თუკი X ერთი პატარა რგოლი იყო სიკეთის ჯაჭვში,

დღეს უკვე მე-8 სკოლაში, X-ის გვერდით სიკეთის მკეთებელი „სხვა რგოლებიც“ გამოჩნდნენ. თითქოს მათ ისმინეს არქიმანდრიტ გაბრიელის სიტყვები: *„იმისთვის ხარ ამ ქვეყნად, რომ რაც შეიძლება ბევრი სიკეთე აკეთო“* და აი, სიკეთის კეთება გაგრძელდა: ქუთაისის №8 საჯარო სკოლის მერვეკლასელებმა X-ს საჩუქრად მოუტანეს საკუთარი ხელით რუდუნებით ნაკეთები, მუყაოსგან დამზადებული და მხატვრულად გაფორმებული, ანბანის ასოები. მათი ნაკეთები სიკეთე სხვასაც გადაედო – ახლა მე-10 კლასმა გამოიჩინა თავი. მოსწავლეებმა – **ანა ლოსაბერიძემ**, **სალომე გოტიაშვილმა** და **ლიკა ხეცურიანმა** – სპეციალურად დაამზადეს სტენდი „ჩვენი ობსერვატორია“, თავისი პირობითი ნიშნებით. X-მა გაიხარა, ყოველდღიურად, სიხარულით ავსებს საჭირო გრაფებს ამინდის შესაბამისი პირობითი ნიშნებით.

პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიების – „სიკეთე გადამდებია“ შესახებ მომზადდა სლაიდშოუ და განთავსდა ბლოგზე.

მარტში, პარტნიორმა სკოლებმა ჩავატარეთ სამოდელო გაკვეთილები, რუბრიკით – „ჩვენ ვსწავლობთ ერთად“.

10 ივნისს კი პროექტი დასრულდა და 16 ივნისს პროექტის ცხრამეტთვიანი მიმდინარეობის საბოლოო შედეგების მონიტორინგი და საანგარიშო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე პროექტში ჩართულმა სპეცმასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივ პროექტზე მუშაობა ძალიან სასარგებლო იყო, რადგან კვლევითი პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ახლოს მიგვიყვანა სსსმ მოსწავლეების ირგვლივ არსებულ პრობლემებთან, დაგვანახა გადაუდებელი საჭიროებები: აუცილებელია სკოლებში მოწესრიგდეს ადაპტირებული სველი წერტილები; გაიმართოს პანდუსები, მაგრამ მათ არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ საჩვენებელი დატვირთვა; გამოიყოს სტანდარტების შესაბამისი რესურსოთახები, რომლებიც უნდა აღიჭურვოს ადაპტირებული ავეჯით, აუდიო-ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკით; საკლასო ოთახებში შეიქმნას ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო გარემო პირობები; გადამზადდნენ სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები; საუბრები ჩაუტარდეთ მოსწავლეთა მშობლებს.

დარწმუნებული ვარ, ეს გზა დაეხმარება ინკლუზიური განათლების სწავლების პროცესის წარმატებულად წარმართვას იმ საჯარო სკოლებში, სადაც ამ უკანასკნელის დანერგვას აფერხებს მასწავლებლების თუ მშობლების წინააღმდეგობა.

მზია ზარნაძე
სსიპ-ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის პედაგოგი

ინფორმაცია

განათლების სამინისტრო Job Fest-ზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალგაზრდების დასაქმების ფესტივალში – Job Fest მიიღო მონაწილეობა. სამინისტროს წარმომადგენლებმა სამუშაოს მაძიებელ სტუდენტებს უწყებაში სტაჟიორებისთვის განკუთვნილი ვაკანტური ადგილები გააცნეს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროვაიდერების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. საუბარი შეეხო პროფესიული განათლების როლსა და მნიშვნელობას, როგორც დასაქმებისკენ მიმავალ უმოკლეს გზას.

Job Fest – ახალი შესაძლებლობა ახალგაზრდების დასაქმებისთვის. ფესტივალში მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლის ჩათვლით ასაკის ახალგაზრდები, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პირველად, ამ სეგმენტისთვის 80-მდე დამსაქმებელმა (სახელმწიფო და კერძო სექტორი) 900-ზე მეტი ვაკანსია წარმოადგინა.

ფესტივალი მიზნად ისახავს: დამსაქმებლების და სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდების დაკავშირებას. სპეციალურად Job Fest-ისთვის, სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებპორტალზე – www.worknet.gov.ge – შეიქმნა ახალი სოფტი, რომლის მისამართია www.jobfest.ge. რეგისტრაციის პროცესი 14 ივნისს დაიწყო და 24 ივნისს 24.00 სთ-ზე დასრულდა. რეგისტრაცია 2300-მდე სამუშაოს მაძიებელმა ახალგაზრდამ გაიარა. Job Fest-ში მონაწილე კომპანიებისა და მათი ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია განთავსდა www.studentjob.ge-ზე, სამუშაოს მაძიებლებს საშუალება ჰქონდათ წინასწარ გაცნობოდნენ ვაკანსიებს, რომ ფესტივალზე გამარტივებოდათ უკვე შერჩეულ კომპანიებთან დაკავშირება და გასაუბრება.

ახალგაზრდების დასაქმების ფესტივალი Job Fest შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაცია HR hub-ის ორგანიზებით გაიმართა.

ლიტერატურული ტური

გალაკტიონი და თბილისი

მაკა ყიფიანი

ელექტრონული წიგნების სახლის „საბა“ და „არტარეას“ ინიციატივით, დაიწყო ახალი პროექტი, რომელიც „ქალაქი – ბიბლიოთეკის“ ფარგლებში ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ პროექტი ხორციელდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით.

პირველი ტური – „გალაკტიონი და თბილისი“ – 24 ივნისს განხორციელდა. გალაკტიონის ხიდთან შეკრებილი ახალგაზრდები, პოეტ **რატი ამაღლობელს** შეხვდნენ და მასთან ერთად, გალაკტიონის სახლ-მუზეუმს ეწვივნენ, სადაც ტურის პირველი მოწვეული სტუმარი, იმავდროულად მასპინძელი, პოეტი **ვახტანგ ჯავახაძე** ელოდებოდათ. ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ, მისგან მოესმინათ: რა როლს ასრულებდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, თბილისისა და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიები ქართულ ლიტერატურაში; როგორი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის სამი წელი და მე-20 საუკუნის კულტურა. ბატონმა ვახტანგმა ისაუბრა გალაკტიონის ცხოვრების, მოღვაწეობისა და პოეზიის შესახებ, გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგ, ასევე, გაიხსენა გალაკტიონის დღემდე უცნობი ისტორიები, საინტერესო ამბები და მოგონებები.

პროექტის „ქალაქი – ბიბლიოთეკა“ იდეა ეკუთვნის ელექტრონული წიგნების სახლს „საბა“. მისი განხორციელება თბილისის მერიასთან და პრეზიდენტის ფონდთან ერთად დაიწყო. პროექტის მიზანია თბილისის სხვადასხვა ადგილებში უფასო ელექტრონული ბიბლიოთეკების განთავსება, თბილისელებისა და დედაქალაქის სტუმრებისთვის ასობით ელექტრონული წიგნის საჩუქრად გადაცემა.

„ქალაქი – ბიბლიოთეკა“ სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტია, რომელიც ნებისმიერ მსურველს აძლევს შესაძლებლობას, უფასოდ, მომენტალურად ჩატვირთოს „საბას“ ელექტრონული წიგნები თავის სმარტფონში, აპლიკაცია Saba Reader-ში და საჩუქრად მიიღოს მრავალფეროვანი პირადი ბიბლიოთეკა. კერძოდ, პროექტის ფარგლებში, თბილისში არსებულ მწერლების სახელობის ქუჩებზე, სახლ-მუზეუმებთან, ბიბლიოთეკებთან, პარკებში, მეტროპოლიტენში, პანთეონებთან დამონტაჟებულია ორიგინალური კონსტრუქციები – „საბას“ ელექტრონული ბიბლიოთეკები, რომელზეც, ქუჩის/შენობის მანიშნებელთან ერთად, განთავსებულია ელექტრონული წიგნები. მათზე დაბეჭდილი QR კოდის საშუალებით კი, ნებისმიერ მსურველს შეუძლია წიგნის ჩამოტვირთვა საკუთარ ტელეფონში Saba Reader აპლიკაციაში, მათი წაკითხვა ინტერნეტის გარეშეა შესაძლებელი.

რატი ამაღლობელი: *„არტარეასთან ერთად, ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“, პროექტ „ქალაქი – ბიბლიოთეკის“ ფარგლებში, ვიწყებთ ახალ ცოცხალ ტურებს. დღეს ვარ გიდი და პროექტს ვიწყებთ, ბუნებრივია, გალაკტიონით – „გალაკტიონი და თბილისი“, რადგან გალაკტიონი არის ის გასაღები, რომელიც მთელ ქართულ ლიტერატურას აღებს, მას უპყრია ხელთ ეს გასაღები. პოეტის სახლ-მუზეუმში გველოდება ცოცხალი ლეგენდა, ადამიანი, რომელიც იცნობდა გალაკტიონს, მასთან ერთად მუშაობდა, პოეტი ვახტანგ ჯავახაძე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა გალაკტიონს. მან დაწერა წიგნი გალაკტიონზე – „უცნობი“, რომელიც არ ისწავლებოდა სკოლებში. თუ კარგი მასწავლებლები იყვნენ, ეპიზოდებს გვიყვებოდნენ მისი ცხოვრებიდან. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ვახტანგს მასპინძლობისთვის, გალაკტიონის უბადლო მკვლევარს, ამდენწლიანი შრომისთვის და სიყვარულისთვის, რომელიც მას პოეტთან აკავშირებდა. მადლობა იმისთვის, რასაც ჰქვია მეხსიერება – გალაკტიონი, რომელშიც უამრავი რამ, მთელი საქართველო იყრის თავს. ამ მეხსიერებას იცავს ბატონი ვახტანგი, როგორც რაინდი, ამდიდრებს და მოაქვს ჩვენამდე, იმის მიუხედავად, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმატორი პოეტია ქართული პოეზიის ისტორიაში, თავის პოეზიას აკლებს დროს სხვისი პოეზიის ხარჯზე, ეს ასმაგად დასაფასებელია.*

XIX საუკუნე ვერ იქნებოდა ისეთი, რომ არა თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, სწორედ მის კედლებში გამოავლინა უამრავმა ადამიანმა საკუთარი შესაძლებლობები. აღმოსავლეთ საქართველოს ინტელექტუალობა პირდაპირაა დაკავშირებული პირველ კლასიკურ გიმნაზიასთან, გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილის, ტატო ბარათაშვილის, შემდგომ 60-იანელების – ილია ჭავჭავაძის და სხვა მრავალის სახით. ხოლო XX საუკუნის ახალი ტალღა, ახალი ძალა, ეს არის ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. როდესაც წაიკითხავთ იმ ადამიანების ჩამონათვალს, ვინც აქ სწავლობდა, დაინახავთ მთელ მეოცე საუკუნეს, მის კულტურას. გალაკტიონიც ამ კულტურის ნაწილია, უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი წინა კულტურებისა და ახალი XX საუკუნის კულტურის, ახალი ენის. ამიტომ მნიშვნელოვანია ჩვენთვის გალაკტიონი არა მხოლოდ, როგორც ლირიკული პოეტი, ლირიკული გმირი, რომელიც XX საუკუნეში ცხოვრობდა, არამედ პოეტი, რომელიც მოქმედებს ენაში, ენიდან ცვლის მენტალობას, გრძნობებს და განცდებს. თუ როგორი იყო პოეტის ყოფაცხოვრება, შემოქმედება ჩვენს ქალაქში – თბილისში, ამაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ ბატონი ვახტანგ ჯავახაძე, იქ, სადაც გალაკტიონი ცხოვრობდა და წერდა, თუნდაც:

„თქვენ გენატრებათ ლოჟა, პარტერი.
თქვენ გინდათ გახდეთ მილიარდელი.
მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს,
ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს“.

სოფო ხუნწარია, ტელეკომპანია „არტარეას“ დირექტორი: *„ჩვენი ინსპირაცია იყო „ქალაქი – ბიბლიოთეკა“ და საბას პროექტი, რომელიც უკვე ერთი წელია დაიწყო. საკმაოდ საინტერესო პროექტია, მთელ ქალაქს მოიცავს და უფასოდ ჩუქნის წიგნებს ყველა მსურველს. ვისაც აქვს მობილური, ნებისმიერ ადგილზე შეუძლია წაიკითხოს წიგნი. ამ პროექტის ფარგლებში, ვიფიქრეთ, რომ ერთობლივად გაგვეკეთებინა ლიტერატურული ტურები. ამ ინიციატივის განხორციელებაში დაგვეხმარა ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდი. დღეს პირველი ტურია. სულ 12 ტური გვექნება, ამ ტურებში ჩავრთავთ მუზეუმებს, სხვადასხვა ქუჩაზე, ფასადებთან გაიმართება საუბრები ამა თუ იმ მწერლის შესახებ. ვფიქრობ, „არტარეას“ და „საბას“ მომხმარებლისთვის იქნება საინტერესო, რეალურად შეეხონ ისტორიას, ლიტერატურას და ახლებურად გაიაზრონ ის, რაც ჩვენ გარშემო საუკუნეებია ინახება“.*

ირინა ჯავახაძე, ელექტრონული წიგნების სახლის „საბა“ დირექტორი: *„ქალაქი – ბიბლიოთეკა“ ინოვაციური პროექტია, რომელიც მერიისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის დახმარებით განხორციელდა. ქალაქის 300 წერტილში განთავსებულია სტენდები, სადაც, ახალი ტექნოლოგიების QR კოდის მეშვეობით, ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია თავის სმარტფონში ჩამოტვირთოს როგორც ხმოვანი, ისე ელექტრონული წიგნები და ატაროს თან. წიგნები თემატურადაა შერჩეული, მაგალითად, გალაკტიონის ტექსტები მოცემულია როგორც გალაკტიონის ქუჩაზე, ასევე ჭავჭავაძეზე, სადაც მან თავი მოიკლა. ქუჩების გარდა, სტენდები QR კოდებით მოცემულია ცენტრალურ სკვერებსა და ბაღებში, შემდეგი ეტაპი ამ ლიტერატურის რეგიონებში გადატანაა, იგეგმება იგივეს განხორციელება ბათუმსა და ქუთაისში“.*

ვახტანგ ჯავახაძე: *„მე ვიცნობდი გალაკტიონ ტაბიძეს! ის იმდენად მარტოსული გახლდათ, იმდენად თავისებური და განსხვავებული, რომ მასთან დაახლოება და გაშინაურება, მისი გაცნობა და ბოლომდე შეცნობა შეუძლებელი იყო. მასზე საუბარი უსასრულოდ შეიძლება... გალაკტიონი თბილისში 1918 წელს ჩამოვიდა და ჩამოიტანა თავისი წიგნი „არტისტული ყვავილები“, რომელიც 1919 წელს გამოსცა. თბილისში საკუთარი ბინა არ ჰქონდა. 1939 წლამდე ცხოვრობდა სხვადასხვა პიროვნებებთან, მწერალთა კავშირის სახლში, ჩუდეცკისთან, ვახტანგ კოტეტიშვილის ოჯახში, ოკუჯავებთან... 6 წელიწადი ცხოვრობდა, ოლღასთან ერთად, კრილოვის ქუჩაზე, 12 კვადრატულ მეტრ ოთახში. შემდეგ გადმოვიდა ამ ბინაში. შენობა, რომელშიც ვიმყოფებით, აშენდა 1935 წელს, ააშენა ბანკმა მწერლებისთვის და ამიტომ ბანკის სახლს უწოდებდნენ. პირველ სართულზე ქიმიური ლაბორატორია იყო განთავსებული, ზედა სართულებზე კი 10 მწერალი შემოასახლეს. ამ სახლში გალაკტიონმა 24 წელიწადი იცხოვრა. ბევრი მწერალი მალე გადავიდა და უკეთესი ბინები მიიღეს, მაგრამ გალაკტიონი ბოლომდე დარჩა აქ, უკეთესის მოლოდინში. გოგებაშვილის ქუჩაზე აშენდა დიდი სახლი მწერლებისთვის, მაგრამ როცა ბინების განაწილების დრო მოვიდა, გალაკტიონი არავის გახსენებია. ამ სახლში გალაკტიონის მეუღლემ, ოლია ოკუჯავამ, მხოლოდ ერთი წელი იცხოვრა, ის აქედან წაიყვანეს და უკან აღარ დაბრუნებულა.*

გალაკტიონს სამსახური იშვიათად ჰქონდა, მთელი ცხოვრება თბილისის ქუჩებში ხეტიალში გაატარა. დილით, როგორც სამსახურში წასასვლელად ემზადებიან ადამიანები, ასე ემზადებოდა თბილისის ქუჩებში სახეტიალოდ. ბევრი თბილისელი შეხვედრია მას. მეც ბევრჯერ ავდევნებივარ. როგორც ჩანაწერებში წერს, ძალიან სიამოვნებდა, რომ ამჩნევდნენ. გალაკტიონი ინტელიგენტებს თვალს არიდებდა, უბრალო ხალხთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან გამოლაპარაკება უყვარდა. ოლია ოკუჯავა იგონებს, როდესაც გალაკტიონი ცუდ ხასიათზე იყო, ყოველთვის მიდიოდა ილია ჭავჭავაძის სახლის მოსანახულებლად.

ამ სახლში ცხოვრობდა გიორგი ქუჩიშვილი, რომელთანაც მეგობრობდა. ერთხელ გალაკტიონს უთქვამს ოლგა დარიუსის დისშვილისთვის: მაგას არ გაეკაროთ, ეგ ლოთიაო. კი მაგრამ, თქვენ ლოთი არ ხართო? არაო, გაკვირვებით უთქვამს. სხვათა შორის, გალაკტიონი ალაგ-ალაგ იყო ლოთი. ბევრი შემთხვევებია აღწერილი, როცა სუფრაზე არ სვამდა, მაგრამ თუ რამე ეწყინებოდა და გულს ატკენდნენ, აი, მაშინ იწყებდა სმას და მდგომარეობიდან მხოლოდ სამედიცინო ჩარევის შემდეგ გამოდიოდა. გალაკტიონს მეგობარი არ ჰყავდა, არც სტუმარი ჰყოლია და არც სტუმრად წასვლა უყვარდა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ტერენტი გრანელთან, იმიტომ, რომ გალაკტიონიც ქუჩაში ცხოვრობდა და ტერენტიც, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მეინახეები იყვნენ ერთმანეთის. ტერენტიმ კარგად იცოდა გალაკტიონის ფასი. ერთხელ, გაბრაზებულმა, გაუბედა და უთხრა, ხომ ვარ შენზე დიდი პოეტიო, – კი ძამიკო, ხარ ჩემზე დიდი პოეტიო – უპასუხია, ამას სხვას არავის ეტყოდა გალაკტიონი.

ამჟამად გალაკტიონის სამი ძეგლი დგას საქართველოში – ქუთაისში, ჭყვიშში და თბილისში, ღირსშესანიშნავი ადგილია მთაწმინდა, მიქატაძის ძეგლი. გალაკტიონის აღიარება მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო, რასაც ოცნებობდა, თითქმის, ყველაფერი აუსრულდა. ის იყო თვითშეცნობილი გენია. უცნაური იყო როგორც შემოქმედებით, ასევე პირადი ცხოვრებით. ამის დასტურია ერთი შემთხვევა – 1937 წელს, სოფელ ჭყვიშში, თავის საკუთარ სახლში ჩასულმა, ფანჯარაზე არილი დაინახა – მზის სხივები, მივიდა და კოცნა დაუწყო. ამის დანახვაზე დედამისს გული წასვლია.

გალაკტიონი მთელი ცხოვრება სიკვდილისთვის ემზადებოდა და განახორციელა კიდეც თავისი ჩანაფიქრი 1959 წლის 17 მარტს.

თენგიზ მირზაშვილის (ჩუბჩიკას) სახლში გაჩნდა იდეა, რომ გალაკტიონის თვითმკვლელობის ადგილას, სადაც პოეტი დაეცა, დაგვედო ქვა და გაგვეკეთებინა წარწერა... 2010 წლის 17 მარტს, ამ ადგილას, გავხსენით გალაკტიონის ობელისკი. ასეთი პოეტი საუკუნეში მხოლოდ ერთხელ იბადება. გალაკტიონმა უმდიდრეს ცხრაკლიტულებს მოარგო გასაღები და პოეტური აზროვნების უმაღლეს ნეტარებას გვაზიარა. ბევრი საიდუმლო ამოგვიხსნა და კითხვის ნიშნებიც ბლომად დაგვიტოვა“.



სასკოლო აქტივობა

თავისუფლება თავისუფალ გაკვეთილებზე
ენის შესწავლის ერთ-ერთი საშუალება

„ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი ცოდნა, როცა იგი საკუთარი გონების დაძაბვითაა შექმნილი და არა მარტო დამახსოვრებით.“
ლევ ტოლსტოი

ნებისმიერი საგნის მასწავლებელი, პირველ რიგში, ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის თავისუფალ და მოაზროვნე პიროვნებად ჩამოყალიბებას, ამისთვის „თავისუფალი გაკვეთილები“ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, განსაკუთრებით ენის სწავლებისას.

თავისუფალი გაკვეთილი გულისხმობს ისეთ გაკვეთილს, როცა მოსწავლეები საუბრობენ და მსჯელობენ, კითხულობენ და წერენ მათ მიერვე შერჩეულ საინტერესო თემებსა და საკითხებზე, იმაზე, რაც აინტერესებთ და რაც არ არის სახელმძღვანელოში, ან არის და სიღრმისეულად უნდათ, შეისწავლონ. თავისუფალი გაკვეთილები მოსწავლეთა ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას, მრავალი აქტივობის შესრულებას გულისხმობს, ავითარებს როგორც რეცეფციულ (მოსმენა, კითხვა), ასევე პროდუქტიულ უნარ-ჩვევებს (ლაპარაკი, წერა).

ეროვნული სასწავლო გეგმით, საგნისთვის განკუთვნილი საათებიდან, საჭიროებისამებრ, შეიძლება გავანაწილოთ საათები თავისუფალი გაკვეთილებისთვის (მაგ., კვირაში ერთი საათი).

თავისუფალი გაკვეთილების თემა მრავალფეროვანია, ეს შეიძლება იყოს: პრეზენტაციის მომზადება, გამომეტყველებითი კითხვა, როლური თამაშები, ინტერვიუ, ავთენტური სიტუაციები, პროექტის მომზადება, ფილმის გადაღება, გაკვეთილის სტუმარი და სხვ.

თავისუფალი გაკვეთილის თემას თვითონ მოსწავლეები ირჩევენ და მიზანსაც თვითონ განსაზღვრავენ (გააჩნია მოსწავლის ასაკს და ენის ფლობის დონეს), მასწავლებელი მხოლოდ გეზის მიმცემია. თემის შერჩევისას, თუ რამდენიმე მოსწავლის შერჩეული თემა ერთმანეთს დაემთხვა, მათ შეიძლება ჯგუფში იმუშაონ სურვილისამებრ და შემდეგ პრეზენტაცია თავისუფალ გაკვეთილზე გააკეთონ. თუ მოსწავლეთა სურვილები ერთმანეთს არ დაემთხვა, მაშინ რიგითობას იცავენ და თემაზე დამოუკიდებლად მუშაობენ. მართალია, პრეზენტაციას ჯგუფი ან ერთი მოსწავლე აკეთებს, მაგრამ დასახელებულ თემაზე სხვა მოსწავლეებიც მუშაობენ, რომ დასვან კითხვა, უპასუხონ დასმულ კითხვას, გამოთქვან საკუთარი აზრი და, საჭირო შემთხვევაში, ჩაერთონ დისკუსიაში.

შეფასება

თავისუფალ გაკვეთილზე ნიშანი არ იწერება. მოსწავლე არ ფიქრობს შეფასებაზე, რაც ათავისუფლებს შიშისგან, რომ დაშვებული შეცდომების გამო ნიშანი დააკლდება. ამიტომ მოსწავლეები უფრო თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებასა და შეხედულებებს, ხალისით ერთვებიან გაკვეთილში, უფრო შინაარსზე ფიქრობენ, ვიდრე გრამატიკულ შეცდომებზე. მათი ცოდნა განმავითარებელი შეფასებით ფასდება, რაც საფუძველია განმსაზღვრელი შეფასებისა.

თავისუფალი გაკვეთილი – საკომუნიკაციო საშუალება

მართულ სასწავლო პროცესში ლექსიკის, გრამატიკის, მოსმენის და ლაპარაკის, კითხვის უნარ-ჩვევების გავარჯიშება ხდება და ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, ყველაფერს თავის ადგილი აქვს. თავისუფალი გაკვეთილი მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, ენა გამოიყენონ ინფორმაციის გადაცემის, გაზიარების და ურთიერთგაგების საშუალებად, საკომუნიკაციო კონტექსტში ლაპარაკის უნარ-ჩვევების გასავითარებლად ისე, რომ რეალურ სიტუაციაში შეძლონ კომუნიკაცია შესასწავლი ენის მატარებელ ადამიანთან სხვადასხვა საკითხზე. როცა მოსწავლე სასაუბროდ ირჩევს თემას „ფეხბურთი“, ისე ემზადება, რომ შეძლოს შესასწავლ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთან ამ თემაზე საუბარი, შეძლოს საუბარი საყვარელ გუნდზე და საყვარელ ფეხბურთელზე, დასვას კითხვა და უპასუხოს დასმულ შეკითხვას.

დაგეგმილი და დაუგეგმავი გაკვეთილები

თავისუფალი გაკვეთილი შეიძლება იყოს დაგეგმილი და დაუგეგმავი და, აქედან გამომდინარე – მოსწავლეთა აქტივობაც. *„მასწავლებლის როლი სწორედ ისაა, რომ მან კარგად უნდა იცოდეს, მოსწავლის რა ძალები როდის განეწყობიან სამოქმედოდ და სასწავლო პროგრამა მას დააფუძნოს,“* – წერს დიმიტრი უზნაძე. და თუ მოსწავლე თავად ირჩევს შესასწავლ საკითხს, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე განწყობილია სამოქმედოდ. ზოგჯერ, შეიძლება, მოსწავლეთა არჩეული ესა თუ ის საკითხი წინ უსწრებდეს მათი განვითარების დონეს, ბევრად იყოს დაშორებული, მაგრამ უზნაძის აზრით, სხვაგვარად წინსვლა შეუძლებელი იქნება.

ჯ. დიუნის მიაჩნია, რომ სწავლა უფრო ეფექტური იქნება, თუ ის დაეფუძნება მოსწავლეთა შეკითხვებს, ინტერესებს და საჭიროებებს. ამის საშუალებას კი თავისუფალი გაკვეთილები იძლევა.

თავისუფალ გაკვეთილზე ხომ ბავშვი იმას სწავლობს, რაც აინტერესებს და სწავლობს ქართულად, საუბრობს, მას არავინ აიძულებს. თავისუფალ, დამოუკიდებელ პიროვნებად იზრდება, თავისუფლება აქვს თემის, პარტნიორის შერჩევაში (წყვილური და ჯგუფური მუშაობის დროს), აცნობიერებს პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ყველა მოსწავლე ერთვება საუბარში, სვამს შეკითხვას, გამოთქვამს საკუთარ აზრს, განიცდის სიხარულს აქტივობის პროცესში და შედეგის მიღებისას.

მოსწავლის ადგილი კლასში

თუ ჩვეულებრივ გაკვეთილზე მოსწავლეს განსაზღვრული აქვს თავისი ადგილი კლასში და ზოგჯერ მკაცრადაც, თავისუფალ გაკვეთილზე მას შეუძლია, თავისი სურვილით, აირჩიოს ადგილი, დაჯდეს, სადაც უნდა და ვისთანაც უნდა, რაც ათავისუფლებს მას შებოჭილობისაგან.

პრაქტიკული გამოცდილებიდან

ხშირად ხდება, რომ ჩვეულებრივ გაკვეთილზე წამოყენებული პრობლემა თავისუფალ გაკვეთილზე გრძელდება და მთავრდება. მაგალითად, ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსის“ სწავლისას, მე-7 კლასში, მოსწავლეებმა ჯერ ისაუბრეს ჯემალსა და იანგულზე, იმაზე, თუ რა არის სამშობლო და შემდეგ თხზულებებიც დაწერეს – „ჩემი სამშობლო“, რომელიც თავისუფალ გაკვეთილზე წაიკითხეს.



ასევე მოხდა „ანა ფრანკის დღიურის“ შესწავლისას. თავისუფალი გაკვეთილისთვის შეარჩიეს თემები: „ნერილები ანა ფრანკს“ და „არა ომს!“ გიურმის ტრაგედიის გამოხმაურება იყო თემა – „არა კაც კლა!“ თავისუფალ გაკვეთილებზე მოსწავლეებმა შეიძლება იმღერონ, იცეკვონ, დახატონ, ლექსი წაიკითხონ, რაც ხელს უწყობს ენის შესწავლას. მაგალითად, მესამე კლასში შეისწავლეს სიმღერა-ცეკვა „ცანგალა და გოგონა“. თავისუფალ გაკვეთილზე დაიგეგმა პროექტი – ფილმის გადაღება სოფლის ექიმზე – „ჩვენი იმედი“. მას დამთავრებული აქვს თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტი და კარგად საუბრობს ქართულად. პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო მოსწავლეთა ქართულად საუბარი ექიმთან.

ბავშვებს ძალიან მოსწონთ თავისუფალი გაკვეთილები და დევიზიც კი შეურჩიეს: „ვილაპარაკოთ, რაზეც გვინდა, ვილაპარაკოთ, ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ!“

თუმცა, თავისუფლებასაც აქვს საზღვრები და ეს უნდა ვასწავლოთ ჩვენს მოსწავლეებს.

თამაშები

თავისუფალ გაკვეთილებზე ძალიან მოსწონთ თამაშები, რომლის დროსაც მთლიანად იხსნებიან, კარგავენ მორიდების გრძნობას და „უშიშრად“ საუბრობენ ქართულ ენაზე.

ავთენტური სიტუაციები

დაუგეგმავად ხდება ავთენტური სიტუაციების გათამაშება. ეს ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ გაუმკლავდნენ მოულოდნელ გამოწვევებს, რომლებიც ხვდებათ სკოლაში და შეხვდებათ ცხოვრებაში.

ყველა ბავშვი ერთნაირი არ არის, მათ აქვთ განსხვავებული მეხსიერება, ნიჭი და, აქედან გამომდინარე, პიროვნული თავისებურებები. მასწავლებლის მოვალეობაა აღმოაჩინოს ეს ნიჭი და განუვითაროს, ასწავლოს კარგის და ცუდის გარჩევა. რაც შეეხება ქართული ენის სწავლას, თავისუფალი გაკვეთილები ამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ვასწავლოთ ბავშვებს თავისუფლების ფასი – ვასწავლოთ ქართული ენით.

ნანული მიხანაშვილი
სსიპ-ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ განძის რუსთაველის სახელობის №2 საჯარო სკოლის ქართული ენის კონსულტანტი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1) ჯონ დიუი – „სკოლა და საზოგადოება“, 2013წ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი;
2) დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფცია, 2013წ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი;
3) მარია მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია, 2013წ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი;
4) მაია ინასარიძე, „თავისუფალი გაკვეთილების შესახებ: საერთაშორისო გამოცდილება“, ჟურნალი „მასწავლებელი“, 2017წ, 2.
5) მაია ჯალიაშვილი, „ურთიერთსწავლების ხიბლი“ – მასწავლებლის წიგნი, 2016 წ.

სასკოლო აქტივობა

ღია კარის დღე

სკოლა არა მხოლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის განვითარებასა და აკადემიურ მიღწევებში, არამედ, ეფექტიანობის შემთხვევაში, სრულიად ანეიტრალებს სოციალური გარემოს უარყოფით გავლენას მის აკადემიურ შედეგზე. წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის დირექცია (დირექტორი – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა**, მოადგილე – **დალი სილაგაძე**), ამიტომაც ანიჭებს ამ ფაქტორს გადამწყვეტ მნიშვნელობას – მასწავლებლის როლი, სერიოზული დამოკიდებულება საგნისა და მოსწავლისადმი წარმატებული სკოლის გარანტია. ამისი ნათელი მაგალითი იყო ღია კარის დღე, რომელიც შინაარსიანი, დატვირთული და რაც მთავარია, შედეგიანი გამოდგა.

კვირეული დაწყებითი განათლების კათედრამ გახსნა. IIᵇ კლასში (მასწავლებელი – **ირმა გურეშიძე**) ჩატარდა ინტეგრირებული (ქართული/ბუნება) გაკვეთილი თემაზე: „დროის ფასი“, ზღაპრის ავტორი – ჭაბუა ამირეჯიბი; IIᵃ კლასში (მასწავლებელი – **თეა ჭუმბურიძე**) ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილის თემა იყო „კოდალების თავსამკაული“, ავტორი – **თამარ ადამია**.

ჩვენი სკოლა, უკვე რამდენიმე წელია, ჩართულია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტ G-PriED-ში, ვნერგავთ ინოვაციურ მეთოდებს, მოსწავლეზე ორიენტირებულ ეფექტურ სასწავლო სტრატეგიებს. აქედან გამომდინარე, ღია კარის დღე წარმოუდგენელი იყო „ჯიპრაიდული“ გაკვეთილების გარეშე. IVᵇ კლასში (მასწავლებელი – **ლელა ჩირგაძე**), სამფაზიანი მოდელით, ჩატარდა გაკვეთილი ქართულ ენაში, თემა – შალვა თაბუკაშვილის „ჯილდო“; IIIᵃ კლასში (მასწავლებელი – **მარინა ქარქაშაძე**) მათემატიკაში – „შევაგროვოთ მონაცემები“; IVᵃ კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი – **ნანული სილაგაძე**) საინფორმაციო ტექსტზე იმუშავეს; IIIᵇ კლასში (მასწავლებელი – **იამზე წულუკიძე**) საინფორმაციო ტექსტი – „ყმაწვილები ჭალაში“ დაამუშავეს სამფაზიანი მოდელით; გოდერძი ჩოხელის „ტყის ქათამი“ იყო VIᵇ კლასში ჩატარებული „ჯიპრაიდული“ გაკვეთილის თემა (მასწავლებელი – **დარეჯან ლაჭყეპიანი**), VIᵃ კლასში **მანანა წულაიამ** ჩაატარა ინტეგრირებული გაკვეთილი (მათემატიკა/ისტ) თემაზე – „სვეტოვანი და წრიული დიაგრამები“.

საბაზო საფეხურზე სამოდელო გაკვეთილები ჩატარდა: VIIIᵃ კლასში (მასწავლებელი – **ფიქრია გიორხელიძე**) გაკვეთილის თემა „ჰიტლერის მმართველობა გერმანიაში“; VIIᵃ კლასში (მასწავლებელი – **ქეთევან ჯიქია**) ინტეგრირებული (ქართული/რუსული) გაკვეთილი თემაზე – „ზმნის რაობა“.

როგორც ჩვენი, ასევე სხვა სკოლების პედაგოგებმა წარმატებით გავიარეთ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების სამი მოდული: მოსწავლეზე ორიენტირებული; სწავლება და შეფასება; სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისათვის. მასწავლებლებმა მშვენივრად გაართვეს თავი მოდულს, რაც სამოდელო გაკვეთილების ჩატარების დროსაც გამოიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგების მსმენელები საბუნებისმეტყველო, მათემატიკისა და ინგლისური ენის კათედრის მასწავლებლები იყვნენ, ყველა კათედრა, ახალი სქემის შესაბამისად, აქტიურად ჩაება გაკვეთილების დაგეგმვაში, ერთმანეთს გავუზიარეთ ტრენინგებზე მიღებული ცოდნა-გამოცდილება და სასურველმა შედეგმაც არ დააყოვნა.

ეს დღე დაგვირგვინდა Iᵇ კლასის ღონისძიებით – „იაკობ გოგებაშვილი – ჩვენი მზე, ჩვენი დარია“ (მასწავლებლები – **აზა ნაფეტვარიძე, მაკა ჟორჟოლიანი**). პირველი კლასის მოსწავლეებმა სტუმრები, მშობლები და პედაგოგები კიდევ ერთხელ გვამოგზაურეს დედაენის ჯადოსნურ სამყაროში, წაიკითხეს ლექსები, წარმოადგინეს მინიატურები, შეასრულეს სიმღერები, იცეკვეს, შექმნეს საოცრად თბილი და სასიამოვნო გარემო.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს სკოლის ადმინისტრაციას ასეთი მშვენიერი დღის ორგანიზებისათვის, დადებითად შეაფასეს ყველა აქტივობა, მიიღეს პასუხი საინტერესო კითხვებზე და ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

დოდო ხაჩიძე
სსიპ-ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

კიდევ ერთი წარმატება

2017 წლის 13 ივნისი. ზღაპრული სამყაროს ნაწილად ქცეული 153-ე საჯარო სკოლის სააქტო დარბაზი, მიმდინარეობს IV კლასელთა სპექტაკლი „ბატის ჭუკი მაშიკო“, რომელიც პატარა მსახიობებმა საყვარელ დედებს მიუძღვნეს. დედები კი ამ სამზადისში აქტიურად ჩაგვრთო ნაირა მასწავლებელმა, რომელიც სცენარის ავტორიც თავად არის და ცეკვების დამდგმელიც, მუსიკაც თავად შეარჩია. თითქოს აღარ უნდა გვიკვირდეს, იმდენჯერ გაგვაოცეს ჩვენმა შვილებმა ნაირა მასწავლებლის წყალობით. მისი ენთუზიაზმი, პედაგოგიური ალღო და მიდგომა, ბავშვებისადმი სიყვარული, ორგანიზატორული ნიჭი, იმ დღეს კიდევ ერთხელ დავინახეთ. **ნაირა აზარიაშვილი** გამოცდილი პედაგოგია. მის გაკვეთილებზე მხოლოდ საგანს კი არა, ბევრ სხვა რამესაც სწავლობენ ჩვენი შვილები – მეცნიერების, კულტურისა და ზნეობის ანბანს ეზიარებიან, მას მუსიკალური განათლებაც აქვს, მიღწევები ჰქ ონდა სპორტში, ამიტომ ნებისმიერი ღონისძიების მომზადებასა და ჩატარებას თამამად იღებს საკუთარ თავზე და შედეგიც ყოველთვის კარგი აქვს. ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენც ბევრი რამ ვისწავლეთ მისგან, ის ჩვენი პედაგოგიც არის.

დარბაზს, სადაც მეოთხეკლასელთა უამრავი გულშემატკივარი შეიკრიბა, მასწავლებლებისა და მშობლების სათუთი ხელიც ეტყობოდა. პატარებმა რიტმული მოძრაობით შეასრულეს მარიამ მდივნიშვილის სიმღერა „გაზაფხული“, იცეკვეს ვალსი.

კრუხი მართა ძერისგან იცავს წიწილებს პატრონისა და ძაღლის დახმარებით, უშიშარი ბატის ჭუკი მაშიკო ქალაქში მიდის დაჭრილი დედისთვის მალამოს მოსატანად. ბატის ჭუკს გზის გაგნებაში ეხმარება კეთილი ტურიკელა, ბატის ჭუკის სიმამაცით მოხიბლული რუხი მგელი, მელაკუდა. ყველა ერთად გადაარჩენს კრუხ მართას. ზღაპრის გმირებმა ოსტატურად შეასრულეს თავიანთი როლები, ქართული ხალხური და ევროპული ცეკვები.

პატარა მსახიობებმა სპექტაკლი სიმღერებით დაასრულეს.

დედის გული ხომ ზღვაზე ვრცელია,
შვილისთვის დნება, როგორც სანთელი,
წყაროზე წმინდა დედის ცრემლია,
დედის ღიმილი მზეზე ნათელი.

* * *

დაე, მუდამ იყოს მზე,
დაე, მუდამ იყოს ცა,
დაე, მუდამ იყოს დედა,
დაე, მუდამ ვიყო მე!

მრავალჯერ გაგეხარებინოთ, ჩვენო პატარებო, თქვენი დედიკოებისა და მასწავლებლების გულები!

ხათუნა ხურციძე
მშობელი

მედიანწიგნიერება

რა საფრთხე ემუქრება დედამიწას?

ავტორი – ნანა გაბისონია
სკოლა – იტალიური სკოლა „ცისკარი“
1. გაკვეთილის სათაური – „გლობალური დათბობა“. რა საფრთხე ემუქრება დედამიწას?
2. კლასი – XI კლასი
3. საგანი – გეოგრაფია
4. სასწავლო მიზნები – მოსწავლემ შეძლოს საინფორმაციო და სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით გლობალური დათბობის გამომწვევ მიზეზებზე და სავარაუდო შედეგებზე მსჯელობა; ჯგუფური მუშაობისას გამოყოს მისი მოგვარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება და შექმნას პრობლემის მოგვარების სცენარები (გეო.11/3).
მედიაწიგნიერება – მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება, მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.
ლექსიკონი:
გლობალური დათბობა – დედამიწის ატმოსფეროს მიწისპირა ფენისა და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის სწრაფი ზრდის პროცესი.
5. საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:
– ნარატივი: გეოგრაფია, XI კლ., შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა – ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“ (ავტორთა ჯგუფი); მაია ბლიაძე, „ვინ გადაიხდის ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაბინძურებისთვის?“
– http://www.mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=4&id=669
– **სლაიდები**: თანამედროვეობის გლობალური პრობლემები; „გლობალური კლიმატცვლილება“, „სათბურის ეფექტი“, „კიოტოს ოქმი“.
– **ვიდეოფილმები**:
ა) „გლობალური დათბობა“
http://video.nationalgeographic.com/video/101-videos/global-warming-101
ბ) „დედამიწა ყინულის დნობის შემდეგ“
https://www.youtube.com/watch?v=VbiRNT_gWUQ
გ) „ქართველი მკვლევრები კავკასიონზე ყინულის დნობის შესახებ“
https://www.youtube.com/watch?v=kW8c6h_MB54
6. გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა:
აქტივობა №1 (5 წთ) – მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ მათთვის ცნობილი გლობალური პრობლემები და უპასუხონ შეკითხვებს.
მოსწავლეები ასრულებენ დავალებას და ჩამოთვლილი პრობლემების რანჟირებას ახორციელებენ სქემით „თანამედროვეობის გლობალური პრობლემები“ (სლაიდი 1) და პასუხობენ შეკითხვებს:

სლაიდი 1 – „თანამედროვეობის გლობალური პრობლემები“:

თანამედროვეობის გლობალური პრობლემები			
პოლიტიკური	ეკონომიკური	სოციალური	ეკოლოგიური
პოლიტიკური კონფლიქტები	სასურსათო პრობლემები	დემოგრაფიული	ჰიდროსფეროს დაცვა, სტიქიური კატასტროფები

მოსწავლეთა პასუხები:

მასწავლებლის კითხვები	მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები
დაასახელეთ, გლობალურ პრობლემებში, რომელია ყველაზე უფრო გლობალური და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.	პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პრობლემები ყველას თანაბრად შეიძლება არ შეეხოს, ყველა ქვეყნის მაცხოვრებლისთვის არ იყოს ერთნაირად მნიშვნელოვანი, მაგრამ ეკოლოგიური პრობლემები თანაბრად მნიშვნელოვანია პლანეტის ყველა მაცხოვრებლისთვის; ამიტომ ეკოლოგიური პრობლემა ყველაზე უფრო გლობალური ხასიათისაა.
გამოყავით ეკოლოგიური პრობლემებიდან ყველაზე აქტუალური თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემა.	გლობალური დათბობა.

აქტივობა №2 (18წთ) – მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, გაეცნონ ინფორმაციას გლობალურ დათბობაზე და კლიმატცვლილებაზე, სათბურის ეფექტზე და გარემოს ცვლილებების მარეგულირებელ საერთაშორისო შეთანხმებაზე (სლაიდი 2, 3, 4), გააანალიზონ ინფორმაცია და შეავსონ ცხრილი „კლიმატცვლილება – „თეთრი ქუდების“ საფრთხე“:

სლაიდი 2 – „გლობალური კლიმატცვლილება“:

გლობალური კლიმატცვლილება	
გლობალური კლიმატცვლილება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმძაფრესი გარემოსდაცვითი პრობლემაა. **კლიმატცვლილების გამო:** • ჩრდილოეთის ზღვებსა და არქტიკაში ყინული 40%-ით თხელია, ვიდრე 40 წლის წინ იყო; • ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ტბებზე ყინულის საფარი ერთი კვირით გვიან ჩნდება და ერთი კვირით ადრე დნება, ვიდრე საუკუნის წინათ ხდებოდა; • იცვლება ნალექების რაოდენობაც, წვიმებმაც უფრო ხშირი და უფრო კატასტროფული ხასიათი მიიღო; • იცვლება ცხოველთა და მცენარეთა ქცევაც, რაც დათბობითაა გამოწვეული.	 გლობალური კლიმატცვლილება. მ.რატიანი, http://www.mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=4&id=8 36; http://pia.ge/photobank.php?curpage=6&id_folder_groups=75

სლაიდი 3 – „სათბურის ეფექტი“:

„სათბურის ეფექტი“	
გლობალური კლიმატცვლილება დაკავშირებულია სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ეკოლოგიურ პრობლემებთან, მას დიდი ეკონომიკური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლიც კი მოაქვს. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ მისი უმთავრესი მიზეზია ინდუსტრიული საქმიანობა და ამის შედეგად ატმოსფეროში გაფრქვეული აირები, რომლებიც შთანთქავენ დედამიწიდან არეკლილ ინფრაწითელ გამოსხივებას და ქმნიან **სათბურის ეფექტს**, რომელიც საფრთხეს უქმნის ეკოსისტემებს და დედამიწის მთელ ცოცხალ სამყაროს.	

სლაიდი 4 – „კიოტოს ოქმი“:

კიოტოს ოქმი გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში დადებული დამატებითი საერთაშორისო შეთანხმებაა. მისი მიზანია ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის დასტაბილურება ისეთ დონეზე, რომელიც დედამიწის კლიმატისთვის საშიში არ იქნება. კიოტოს ოქმი ქვეყნებისთვის სათბურის აირების ატმოსფეროში გაფრქვევის კონკრეტულ (თითოეული ქვეყნისთვის – განსხვავებულ) ზღვრებს (ლიმიტებს, კვოტებს) ადგენს. იგი ბუნებრივ გარემოსთან მიმართებით ერთადერთი რეალურად მოქმედი ჩარჩო/დოკუმენტია იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც მიმართულია ატმოსფეროში ადამიანის მოქმედების შედეგად მოხვედრილი ნახშირორჟანგის მოცულობის სტაბილიზაციისა და შემცირებისკენ. კიოტოს ოქმს საქართველო 1999 წლის ივნისში შეუერთდა.	 ლიტერატურა: მაია ბლიაძე, „ვინ გადაიხდის ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაბინძურებისთვის?“ http://www.mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=4&id=669

მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას და ავსებენ ცხრილს „კლიმატცვლილება – „თეთრი ქუდების“ საფრთხე“:

ცხრილი 1: „კლიმატცვლილება – „თეთრი ქუდების“ საფრთხე“

შეკითხვა	სავარაუდო პასუხი
რატომ ითვლება კლიმატცვლილება თანამედროვეობის ყველაზე დიდ საფრთხედ?	იზრდება წვიმების რაოდენობა, დნება მყინვარები, მწვერვალებზე დადებული მარადი თოვლის ფართობი იკლებს, დათბობის გამო საერთოდ იცვლება ცოცხალი ბუნების ცხოვრების წესი.
რა სახის ვიზუალურ ცვლილებას გამოიწვევს დათბობა დედამიწაზე?	დათბობის გამო იმდენად შემცირდება დედამიწაზე ყინულის საფარი, რომ „თეთრი ქუდების“ გაქრობა „გლობალურად“ შესამჩნევი გახდება.
როგორი იქნება დედამიწის რუკა „თეთრი ქუდების“ გაქრობის შემდეგ?	დედამიწის რუკიდან „თეთრი ქუდების“ გაქრობის შემდეგ გარკვეული ტერიტორიები შეიძლება წყლის ქვეშ აღმოჩნდეს.
რამდენად იცავს საერთაშორისო ხელშეკრულებები გარემოს ცვლილებებისგან?	მიუხედავად საერთაშორისო შეთანხმებებისა, გარემო დაცული არაა ცვლილებებისგან.

აქტივობა №3 (7წთ) – მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, გაეცნონ ფილმს – „გლობალური დათბობა“ და მიღებული ინფორმაცია შეადარონ წინა აქტივობიდან მიღებულ ცოდნას: **მოსწავლეები ასრულებენ დავალებას** და შედარებას სქემით წარმოადგენენ:

ინფორმაცია	შესაბამისობა ფილმთან
სლაიდი 1 – „გლობალური კლიმატცვლილება“ **გლობალური კლიმატცვლილება** **გლობალური კლიმატცვლილება** თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმძაფრესი გარემოსდაცვითი პრობლემაა. **კლიმატცვლილების გამო**: – ჩრდილოეთის ზღვებსა და არქტიკაში ყინული 40%-ით თხელია, ვიდრე 40 წლის წინ იყო; – ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ტბებზე ყინულის საფარი ერთი კვირით გვიან ჩნდება და ერთი კვირით ადრე დნება, ვიდრე საუკუნის წინათ ხდებოდა; – იცვლება ნალექების რაოდენობაც, წვიმებმაც უფრო ხშირი და უფრო კატასტროფული ხასიათი მიიღო; – იცვლება ცხოველთა და მცენარეთა ქცევაც, რაც დათბობითაა გამოწვეული. **გლობალური კლიმატცვლილება. მ.რატიანი, http://www.mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=4&id=8 36; http://pia.ge/photobank.php?curpage=6&id_folder_groups=75**	ფილმის მიხედვით, გლობალური დათბობა იმაზე მეტ შედეგს იწვევს, ვიდრე უბრალოდ ყინულის დნობაა; ნალექისა და სითბოს გაზრდით, ის საერთოდ ცვლის დედამიწის რუკას, იქ მცხოვრები ადამიანების და ზოგადად ცოცხალი ბუნების წესს.
სლაიდი 2 – „სათბურის ეფექტი“ **„სათბურის ეფექტი“** **გლობალური კლიმატცვლილება** დაკავშირებულია სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ეკოლოგიურ პრობლემებთან, მას დიდი ეკონომიკური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლიც კი მოაქვს. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ მისი უმთავრესი მიზეზია ინდუსტრიული საქმიანობა და ამის შედეგად ატმოსფეროში გაფრქვეული აირები, რომლებსაც შთანთქავენ დედამიწიდან არეკლილ ინფრაწითელ გამოსხივებას და ქმნიან **სათბურის ეფექტს**, რომელიც საფრთხეს უქმნის ეკოსისტემებს და დედამიწის მთელ ცოცხალ სამყაროს.  	ფილმის მიხედვით ინდუსტრიული საქმიანობა და ამის შედეგად ატმოსფეროში გაფრქვეული აირები უშუალოდ იწვევს „სათბურის ეფექტს“, რაც დედამიწის მთელ ეკოსისტემას უქმნის საფრთხეს, განსაკუთრებით კი ააქტიურებს ყინულის დნობას.

მედიანიგნიერება

აქტივობა №5 (8წთ) – მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, გაეცნონ მცირე დოკუმენტურ ვიდეოფილმებს დედამიწაზე ყინულის დნობის შედეგებზე – „დედამიწა ყინულის დნობის შემდეგ“ და „ქართველი მკვლევრები კავკასიონზე ყინულის დნობის შესახებ“ (0:2).

ფილმებში აღწერილია ყინულის დნობის და გლობალური დათბობის შედეგები, თუ რა ბედი ეწევა ქვეყნებს მყინვარების დნობის შედეგად, რომელი ქალაქები გაქრება რუკიდან, როგორ შეიცვლება დედამიწის რუკა და რა შედეგებამდე მიგვიყვანს გლობალური დათბობა, საუბარია, თუ რამდენად აქტუალური შეიძლება იყოს ეს პრობლემა საქართველოსთვის.

მოსწავლეები ასრულებენ დავალებას, მცირე ვიდეოფილმების ნახვის შემდეგ კი აანალიზებენ ინფორმაციას საქართველოსთან კონტექსტში და ავსებენ ცხრილს „გლობალური დათბობა – საფრთხე ჩვენთვის და მთლიანად დედამიწისთვის“.

ცხრილი 3: „გლობალური დათბობა – საფრთხე ჩვენთვის და მთლიანად დედამიწისთვის“:

„გლობალური დათბობა – საფრთხე ჩვენთვის და მთლიანად დედამიწისთვის“	სავარაუდო პასუხი
რა საფრთხეს შეიცავს გლობალური დათბობა ჩვენთვის და დედამიწისთვის?	ფილმის მიხედვით, გლობალური დათბობა მთლიანად შეცვლის გარემომცველ სამყაროს, ადამიანებს მოუწევთ მშობლიური ადგილების დატოვება წყლის დონის მომატების გამო, რადგან ბევრი ქალაქი აღმოჩნდება წყლის ქვეშ; საქართველო მთიანი ქვეყანაა, მთები მარადი თოვლითაა დაფარული და თუ ასე გაგრძელდება, მყინვარებსაც რეალური საფრთხე დაემუქრება, რისი ნიშნებიც უკვე არის.
როგორ უნდა შეჩერდეს ეს პროცესები?	უნდა შეწყდეს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხელოვნურად იწვევს ყინულის დნობას და ხელს უწყობს გლობალურ დათბობას, დედამიწაზე ტემპერატურის მომატებას.

აქტივობა №6 (5წთ) – მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, ინფორმაციის შეჯამების საფუძველზე ჩამოაყალიბონ რჩევები (თეზისების სახით), რომელსაც შესთავაზებენ ხელისუფლებას, საზოგადოებას და საკუთარ თავს ამ პროცესების შესაჩერებლად (ცხრილი 4).
მოსწავლეები ასრულებენ დავალებას და **აყალიბებენ თეზისებს – „გადავარჩინოთ დედამიწა“**:

„გადავარჩინოთ დედამიწა“
თეზისები

– შევცვალოთ ნათურები ენერგოდამზოგავით;
– დავზოგოთ წყალი;
– ზედმეტი ელექტრონული მოწყობილობები გამოვრთოთ;
– სამგზავროდ გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი;
– მანქანის ნაცვლად გამოვიყენოთ ველოსიპედი;
– ხალხის ინფორმირება გლობალური დათბობის შესახებ;
– დავზოგოთ ენერგია;
– ვიზრუნოთ გარემოზე, მასზეა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი!

შეფასების ინსტრუმენტები (2წთ). კრიტერიუმები:
1. მოსწავლემ ჩამოთვალა გლობალური პრობლემები;
2. მოსწავლემ იმსჯელა გლობალური დათბობის გამომწვევ მიზეზებზე და სავარაუდო შედეგებზე;
3. მოსწავლემ შეადარა საინფორმაციო ნარატიული წყაროები ფილმში ნანახ მასალას;
4. მოსწავლემ დააკავშირა ინფორმაცია ერთმანეთთან;
5. მოსწავლემ გააანალიზა მედიარესურსების მონაცემები გლობალური დათბობის და მყინვარების დნობის შესახებ;
6. მოსწავლემ გააკეთა დასკვნა და ჩამოაყალიბა თეზისები.

დაკვირვების ინსტრუმენტი

კრიტერიუმები	შეძლო	ვერ შეძლო	შეძლო დახმარებით
მოსწავლემ ჩამოთვალა გლობალური პრობლემები;			
მოსწავლემ იმსჯელა გლობალური დათბობის გამომწვევ მიზეზებზე და სავარაუდო შედეგებზე;			
მოსწავლემ შეადარა საინფორმაციო ნარატიული წყაროები ფილმში ნანახ მასალას;			
მოსწავლემ დააკავშირა ინფორმაციები ერთმანეთთან;			
მოსწავლემ გააანალიზა მედიარესურსების მონაცემები გლობალური დათბობის და მყინვარების დნობის შესახებ;			
მოსწავლემ გააკეთა დასკვნა და ჩამოაყალიბა თეზისები.			

გამოყენებული მულტიმედიარესურსები:
ა) http://video.nationalgeographic.com/video/101-videos/global-warming-101;
ბ) https://www.youtube.com/watch?v=VbiRNT_gWUQ;
გ) https://www.youtube.com/watch?v=kW8c6h_MB54, ლინკი მოცემულ დროზე 0:2;
დ) გეოგრაფია, XI კლ., შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა – ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“ (ავტორთა ჯგუფი);
ე) მაია ბლიაძე, „ვინ გადაიხდის ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაბინძურებისთვის?“
http://www.mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=4&id=669

შენიშვნები *– საკითხის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, სასურველია, მოსწავლეებს საშინაო დავალებად მიეცეთ, მოამზადონ თეზისები „დედამიწის გადარჩენაზე“ თანასკოლელების, ახლობლების და ოჯახის წევრების გამოკითხვის საფუძველზე.*

სასკოლო აქტივობა

საბუნებისმეტყველო პროექტების პრეზენტაცია

12 ივნისს, №190 საჯარო სკოლის დირექტორმა და, ამავდროულად, ბიოლოგიის მასწავლებელმა **მაია გიორგაძემ**, X[1] კლასში წარმოადგინა სხვადასხვა სახის პროექტები: „არა – გარემოს დაბინძურებას“, „ერთად ვიბრძოლოთ ნარკოტიკების წინააღმდეგ“, „უთხარი არა ალკოჰოლს!“

X[1] კლასის მოსწავლეებმა: **ანი სიხუაშვილმა** („არა – გარემოს დაბინძურებას“), **სალომე ზაუტაშვილმა** („ერთად ვიბრძოლოთ ნარკოტიკების წინააღმდეგ“), **მარიამ ოქროპირიძემ** და **თამარ ხინთიბიძემ** („უთხარი არა ალკოჰოლს“) საინტერესოდ და შთამბეჭდავად წარმოადგინეს მასალა. პროექტორზე ჩანდა ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც თან სდევს არაჯანსაღი ცხოვრების წესს. პროექტში ჩართული იყვნენ: **ვასიკო თედიაშვილი**, **თენგიზ მაისურაძე**, **ზურაბ მოდებაძე** და სხვები.

აღსანიშნავია მათი აქტიურობა და ინტერესი აქტუალური პრობლემებისადმი. მოსწავლეებმა დაამზადეს ბუკლეტები, რომელშიც ზედმიწევნით ზუსტადაა განსაზღვრული, როგორი ზიანის მოტანა შეუძლია ალკოჰოლს, ნიკოტინს, ნარკოტიკს და დაბინძურებულ გარემოს.

რაოდენ დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ ყველანი, თუ არ გავუფრთხილდით მომავალ თაობას, საკუთარ ჯანმრთელობას მაშინ, როცა სამყაროს კატასტროფა ემუქრება. ადამიანი ხომ ის ღირებულებაა, რომელიც ყველაზე ფასეულია ამქვეყნად. ეს აუცილებლად უნდა გავაცნობიეროთ, თუ გვინდა სიცოცხლე. ამგვარი სახით მოსწავლეთა დაკვალიანება და გათვითცნობიერება ქალბატონ მაიას საგაკვეთილო პროცესშიც ახასიათებს – მოსწავლის გონებას წარმართავს და ყურადღებას ამახვილებინებს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

უნდა ითქვას ისიც, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მსგავსი პროექტების წარმოჩენით ხორციელდება. პრეზენტაციას ესწრებოდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. გამოითქვა განსხვავებული აზრები და შეხედულებები. მოსწავლეებს აუმაღლდათ მოტივაცია საბუნებისმეტყველო საგნის, კერძოდ, ბიოლოგიისადმი.

ქეთევან ჭელიძე
თბილისის №190 საჯარო სკოლის პედაგოგი

საუბრები ლიტერატურაზე

ლიტერატურული ინტერპრეტაცია

მხატვრული ნაწარმოების წაკითხვისათვის

„ყველგან, სადაც სამყარო განიცდება ჩვენ მიერ, სადაც ხდება უცხოობის ჩამოცილება, ყველგან სრულდება ჰერმენევტიკული პროცესი სამყაროს შეკრებისა სიტყვაში და ზოგად ცნობიერებაში“ (ჰ. გადამერი). *„აზრის გამოვლინება ენაში“* – ასე განსაზღვრავს გაგების ცნებას შლაიერმახერი.

ხშირად მოსწავლე კითხულობს ამა თუ იმ ტექსტს, იცის შინაარსი, თუმცა დარწმუნებული არ ვართ, რომ ის ჩაწვდა ავტორის სათქმელს. როდის ან როგორ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლემ სწორად გაიგო ტექსტი. ლიტერატურული ნაწარმოების მიმართ ასეთი ერთმნიშვნელოვანი კრიტერიუმი არ არსებობს. მხატვრული ტექსტის გაგება, მისი სწორად ინტერპრეტაცია, სინქრონული და დიაქრონული რაკურსების გაერთიანება, მკითხველი და თეორეტიკოსი, ავტორი და ისტორიული კონტექსტი, შინაგანი და გარეგანი ლოგოსი, ენობრივი და ჟანრული მოდელი – ეს ის მწირი ჩამონათვალია ლიტერატურის თეორიის საკითხებიდან, რომელთა ცოდნაც საჭიროა სხვადასხვა ასაკის მკითხველისათვის ტექსტის დეკონსტრუქციისა და შემდგომი სწორი რეკონსტრუქციისათვის.

მხატვრული ტექსტების ჰერმენევტიკული მეთოდით კვლევა მეტად აქტუალური და საინტერესოა. ჰერმენევტიკა სხვაგვარად გაგების თეორიადაა აღიარებული. იგი მოიაზრება, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების ახსნისა და განმარტების უნივერსალური ხერხი. მხატვრული ტექსტების ამ კუთხით კვლევა ღრმა ფილოსოფიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი საფუძვლების მქონეა. იგი ტექსტის ფუნდამენტური გააზრების საშუალებას იძლევა, მისი გამოყენებით შევიცნობთ ტექსტის მთავარ სათქმელს, საზრისს. ტერმინს – ჰერმენევტიკა – ეტიმოლოგიურად აკავშირებენ ანტიკური ღმერთის ჰერმესის სახელთან. ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ჰერმესი შუამავალია ზევსსა და ადამიანებს, ზევსსა და მიწისქვეშეთს, აგრეთვე მიწისზედა და მიწისქვეშა სამყაროებს შორის. შესაბამისად, ჰერმესი მედიატორია, რომელიც განუწყვეტლივ კვეთს ონტოლოგიურ საზღვრებს და ასრულებს „სიტყვის მიმტანის“, „ამბის განმარტავის“ ფუნქციას.

გაგებისა და ახსნის პრობლემით ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან დაინტერესდნენ, ტექსტის გააზრების პირველი ნაბიჯები სტოელთა ფილოსოფიურ სკოლას უკავშირდება. ამ სკოლის წარმომადგენლებმა დაიწყეს ბერძნული მითების, ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ და ჰესიოდეს „თეოგონისს“ განმარტება. განმარტების ხელოვნებას ეხებოდნენ სოფისტებისა და რიტორიკის სკოლებში. შემდეგ სტოელებთან განვითარდა ე.წ. ალეგორიული ინტერპრეტაცია.

მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის პროცესში სტოელები ურთიერთისაგან განასხვავებდნენ წარმოთქმულ და შინაგან ლოგოსს: პირველი არის ტექსტის პირდაპირი აზრი, ხოლო მეორე – ამ გამოხატულების შინაარსი, ანუ დაფარული საზრისი. შინაგანი ლოგოსი, ანუ ტექსტის დაფარული საზრისი ცხადდება გარეგან ლოგოსში. ტექსტის ალეგორიული ინტერპრეტაციის მეთოდი შემდგომ განვითარდა ბიბლიის ტექსტების ელინისტური და პატრისტიკის პერიოდის ეგზეგეტიკაში. შუა საკუნეებში ჰერმენევტიკა განუყრელად დაუკავშირდა თეოლოგიას, რადგან ქრისტიანული თეოლოგიური აზროვნების აღმავლობის ეპოქაში აუცილებელი ხდება საღვთო წიგნების, ეკლესიის მამათა თხზულებების განმარტება. წმინდა წიგნებში მოცემული დოგმები და მათი ახსნის ფორმები საუკუნეების მანძილზე ღვთისმეტყველთა პრეროგატივას წარმოადგენდა.

XIX საუკუნიდან კი ჩნდება ფილოსოფიური ჰერმენევტიკა, რომელიც განიხილავს წერილობითი წყაროების ინტერპრეტაციის პრობლემებს. მისი წარმოშობა დაკავშირებულია გერმანელი ფილოსოფოსისა და თეოლოგის, ფრიდრიჰ შლაიერმახერის (1768-1834) სახელთან. შლაიერმახერის მოღვაწეობა იქცა ჰერმენევტიკული კვლევისაკენ შემობრუნების წერტილად.

ამდენად, ლიტერატურული ნაწარმოების გაგება გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტების ცოდნას, არამედ მთელ ნაწარმოებს, როგორც გარკვეული შინაარსის მქონე მოდელს. ეს მოდელი ვლინდება ჟანრით, მხატვრული ხერხებით, კომპოზიციისა და სიუჟეტის თავისებურებით, მწერლის ენითა და ერთობლიობით სხვადასხვა „კოდისა“, რომელთაც ამოხსნა, დეკოდირება ესაჭიროებათ.

ტექსტის სწორად ინტერპრეტაციის გასაღები **„კოდების“** ფლობით გამოიხატება. მკითხველი ტექსტს გაიაზრებს მასში მოცემული ენიგმებით როგორც სინქრონულ, ასევე დიაქრონულ ჭრილში. ასე ხდება მკითხველის გამოცდილების გადაცვლება ტექსტში. განვიხილოთ რამდენიმე კოდი.

1. **გამოსახვის საშუალებათა კოდი** – მოიცავს ლიტერატურული ნაწარმოების ენობრივ მხარეს და გულისხმობს მკითხველისაგან ენის ცოდნას, სტილისტურ თავისებურებათა გაგებას, ტროპების გამოყენების გათვალისწინებას და სხვ. მაგალითად, იმპრესიონისტული პროზისათვის დამახასიათებელია ერთგვარი ირონია, როგორც აზრის ლაკონიური გამოხატვის საშუალება, ემოციურ-ექსპრესიული თხრობა, მრავალწერტილი, დაუმთავრებელი წინადადებები, მძაფრი რიტმი, მოკლე, სხარტი ფრაზები, „დეპეშური“ სტილი, მუსიკალურობა. ნიკო ლორთქიფანიძე ერთგან წერს: *„უმთავრეს მიზნად დასახული მქონდა მკითხველში ერთგვარი სულის განწყობა გამომეწვია – სიტყვის საშუალებით მუსიკის საწადელი მიმეღწია.“* გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება:

„მოკვდა უცხოეთში.

– ათასი სნეულებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქმედა, – იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.

ცხედარი გაჭრეს. პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

– შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?! ერთმანეთს შესცქეროდნენ.“ („გული“).

„დარჩა მამა-შვილი ისევ ობლად. ელის ბავშვი ეყოლა.

გაუჭირდათ. გაჰყიდეს, დააგირავეს უსაჭიროესიც... ელის მხოლოდ მედალიონი დარჩა გულზე...“ („შელოცვა რადიოთი“).

„გაძვრა-გამოძვრა მაჭანკალი...“ („თავსაფრიანი დედაკაცი“) – ამ ორი სიტყვით მწერალმა შექმნა სიტყვის ფერიც, მუსიკალურობაც, პერსონაჟის გამოკვეთილი სახასიათო ტიპიც.

მწერალი თავისი ოსტატობით, პატარა, სხარტი წინადადებებით, ზუსტად მიგნებული ფრაზებით ახერხებს ემოციური სიუჟეტის აგებას. მშრალი ფრაზები ფერწერული სურათის შთაბეჭდილებას ტოვებს.

2. ასევე შეგვიძლია გამოვყოთ **ჟანრული კოდი**. მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ლიტერატურულ ჟანრს სიუჟეტის აგების თავისებური კანონები აქვს.

ჰაგიოგრაფიული ტექსტების სწავლა რომ გაუადვილდეთ მოსწავლეებს, გარდაუვალია იმის ცოდნა, რომ სასულიერო მწერლობისათვის ნიშანდობლივია ეროვნული გმირის ახლებური სახის შექმნა (რ. სირაძე). ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს თან სდევთ აღმზრდელობით-დიდაქტიკური მოტივები, გმირთა და მასთან დაპირისპირებული ანტიგმირით წმინდანის აბსოლუტურად სრულყოფილი სახის შექმნა, ისტორიზმის სიჭარბე, წმინდანი იმეორებს ქრისტეს გზას. საყურადღებოა ჰაგიოგრაფიული ტექსტების ბიბლიასთან მიმართება, რომლითაც ვლინდება შუა საუკუნეების მრწამსი.

გავისხენოთ შუა საუკუნეების ეპოსი. როდესაც ვსწავლობთ „ვეფხისტყაოსანს“, აქაც გვმართებს ჟანრის მახასიათებლების გათვალისწინება. შუა საუკუნეების ეპოსი მიზნად არ ისახავს კონკრეტული სინამდვილის ასახვას, აქ გმირები განასახიერებენ მხატვრულ იდეალებს. გვხვდება სინთეზი რეალური და გამოგონილი ფაქტებისა, ქვეყნებისა. არ გვხვდება დრო-სივრცითი საზღვრები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ტექსტის გააზრება მართებს როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეს, რომლისთვისაც უკვე გასაგები იქნება, თუ რატომ აღწერს რუსთველი დევებთან ბრძოლას, სამი გმირის სამი ჯადოსნური აღკაზმულობით ქაჯთა ძლევას და სხვ.

რაც შეეხება იმპრესიონისტულ პროზას, მან მოხსნა სიუჟეტის კლასიკური გაგება, გააბატონა მცირეფორმიანი თხზულებები, რომლის მიზანიც ემოციურ-ექსპრესიული განწყობის შექმნაა (ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი). მინიატურა, ნოველა, ესკიზი – მწერლის შთაბეჭდილებითი ასახვის ყველაზე ზუსტად მიგნებული ფორმაა. ვრცელ მონოტონურ აღწერებს, თხრობას ანაცვლებს სხარტი ფრაზები: *„ქართველი ქვრივი დედაკაცი თავსაფრიდან წუღებამდის... წინდაც კი შავი...“* აქ აშკარად იკვეთება რეალისტური სტილისგან განსხვავებული დახვეწილი ლაკონიური თხრობა, ფერწერული პორტრეტების თხზვა. ასევე, ნიშანდობლივია მწერლის სუბიექტური შეფასების ღიად წარმოჩენა, რიტმულ-მუსიკალური მინიატურებით რეალისტური სურათების შექმნა. მაგალითად, ნიკო ლორთქიფანიძის „საშობაო მინიატურები“ იწყება ამაღლებული ინტონაციით: *„იქ, სადღაც, ბეთლემში, ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცამოჭედილ ღამეს მღვიმეში დაიბადა იესო... აქ კი... დღეს...“* და შემდეგ მწერალი მთელი ტრაგიზმით ხატავს სურათებს იმ განწირული ადამიანების ყოფიდან, რომელთათვისაც დახშულია „ტანჯვის შემამსუბუქებელი“ გზები. გმირის სულიერი სამყაროს წვდომისათვის იმპრესიონისტული წერის თავისებურების დახვეწილი შტრიხების გააზრება მკითხველს სულ სხვა რეცეფციულ პროცესს სთავაზობს. ხშირად მარტივი შინაარსის სიღრმისეული წვდომა სწორედ ჟანრის სპეციფიკის ცოდნით უფრო მარტივი ხდება ნებისმიერი მკითხველისათვის.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნიჭია იყო მწერალი და ასევე, უდიდესი ნიჭია, იყო კარგი მკითხველი. თუმცა კითხვაც უნარია. როგორც გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ვირჯინია ვულფი ამბობდა, კითხვა ხელოვნებაა, მკითხველიც ხელოვანია. წიგნის კითხვის უნარი ნაწილობრივ თანდაყოლილი შეიძლება აღმოჩნდეს, თუმცა კულტურული მკითხველისთვის საჭირო ჩვევების გამომუშავება ყოველ ჩვენგანს შეუძლია.

თინათინ თვალჭრელიძე

ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია-ადამიანი?!“ სწავლებისათვის

მოსწავლეებისთვის, რომლებიც ეცნობიან XIX საუკუნის ნაწარმოებებს, უცხოა იმდროინდელი ვითარების აღქმა და გააზრება. ამისთვის თავდაპირველად საჭიროა გაეცნონ XIX ს-ის 60-70-იანი წლების ეპოქას.

გასამახვილებელია ყურადღება იმ „საზოგადო ჭირზე“, რომელმაც ილიას „კაცია-ადამიანი?!“ დააწერინა. ეპიგრაფი გახდება იდეის გადმოცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა – „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. რატომ წერს ილია ამ ნაწარმოებს, რა არის მასში მთავარი სათქმელი? ილიას სურს, გააღვიძოს ერში ის მიძინებული სული, რომელიც გადაგვარების გზას დასდგომია. აკი ამბობს კიდეც ლექსში „ელეგია“: „ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ ამით გამოფხიზლებისკენ მოუწოდა ერს და ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემის, თათქარიძეობის, აღმოფხვრა, რომელიც ჩვენი ერის სატკივარი გამხდარა, ერის გამოფხიზლებით იყო შესაძლებელი.

იქცა თუ არა თათქარიძეობა „საზოგადო ჭირად“ და რამ მიიყვანა ერი ამ მდგომარეობამდე?

მწერალი გზადაგზა გვახსენებს მოვლენის საერთო ქართულ ხასიათს.

თავდაპირველად მის უბადრუკ სახლ-კარს აღწერს და აღწერის ბოლოს დასძენს: „ეტყობა, რომ ქართველია“. დაქცეული სახლ-კარი და შემორღვეული ღობე საქართველოს სიმბოლოა, ჩვენი ქვეყნისა, რომელიც გაპარტახებულა, საზღვრები შემორღვევია და არავის მოსვლია აზრად, რომ ღობე გაემთელებინა და დაეწყო ქვეყნის აღდგენაზე ფიქრი.

სახლ-კარი კი დაჰქცეოდა ლუარსაბს, რაც ქვეყნის თავზე დამხობას მოასწავებდა, მაგრამ ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი – უკეთესი. „მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედსა და უბედობას ბალნით არჩევს, – დასძენს ილია, – ქართველი კაცი ბედსა და უბედობას თანასწორად ემორჩილება.“

ცხადი ხდება, რომ თათქარიძეობა საერთო ქართული მოვლენა ყოფილა. და მაინც, რომელ ნაკლზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას.

პირველი, რაზეც შევჩერდებით, სიზარმაცეა. ლუარსაბს სტუმარი სძულდა, რადგან ჩაცმა ეზარებოდა. სიზარმაცე არაა ერთფეროვანი მოვლენა. ის ცრუ საქმიანობაა. ამაში კი დარეჯანს ვერავინ შეედრება.

მეორე ნაკლი თვითკმაყოფილება და კვეხნაა, მათი კვეხნა კი თვითმოტყუებაა.

თვითკმაყოფილების, კვეხნისა და პირფერობის ატმოსფეროში რა უნდა აკეთოს ადამიანმა? ჭამოს, სხვა აღარაფერი დარჩენია, ისინიც ჭამენ. „ხვალ რა ვჭამოთ“ – ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა. როგორ უნდა გაგრძელდეს თათქარიძეების ცხოვრება?! ილია გვეუბნება, რომ სრული უნაყოფობაა ასეთი ცხოვრების დასასრული, ილოცეს ლუარსაბმა და დარეჯანმა, შეაწუხეს ღმერთი, მკითხავსაც კი დაუჯერეს, თელეთის ხატიც მოილოცეს, მაგრამ შვილი არ შეეძინათ. ეს უნაყოფობა ყოველგვარ საქმეში უსარგებლობას, უუნარობას გულისხმობს. უშვილობით დადარდიანებული დარეჯანი ექიმბაშის წამალმა შეიწირა, ლუარსაბი კი ცოლის სიკვდილმა ისე წაახდინა, რომ გამოხმა და დაჭკნა ქონითა და ხორცით სავსე კაცი, თუმცა მაინც ჭამა-სმამ მოუღო ბოლო.

თუ ზემოთ ნათქვამზე გავამახვილებთ ყურადღებას, თათქარიძეობა ყოფილა სიზარმაცე, ცრუ საქმიანობა, თვითკმაყოფილება, ტრაბახი, მატყუარობა, პირფერობა, თვალთმაქცობა, ღორმუცელობა, უნაყოფობა, გაუნათლებლობა... ეს საზოგადოების უარყოფითი მხარეებია და სწორედ ამან ჩააფიქრა ილია.

ტექსტის დასასრულს ავტორი მკითხველს მიანდობს სათქმელს და მიგვანიშნებს, რომ „სარკე მოგვიტანა“, მართალია, ეს სარკე გაბზარულია და შიგადაშიგ ლაქიანიც, მაგრამ გვაფიქრებს, როგორ უნდა დაადგეს ერი გადარჩენის გზას. ისიც კარგად იცის ავტორმა, რომ მის ნათქვამს ყველა სხვადასხვაგვარად გაიგებს, ზოგი გიჟს უწოდებს და ლაფის სროლას დაუწყებს ამ ამბის დამწერს, მაგრამ ავტორი ამისთვისაც მზადაა. „ესღა დამრჩენია სათქმელად, – ამბობს ავტორი, – მე მიყვლია და გათენდება თუ არა – ეგ ღმერთმა იცის.“

უნიათო, უმოქმედო, უნებისყოფო ერის მდგომარეობა უფალს მიანდო ავტორმა, რაც იმას მოასწავებდა, რომ რწმენადაკარგულ ერს, რწმენა უნდა აღედგინა და მხოლოდ ეს გახდებოდა ერთ-ერთი საწყისი ერის გამოფხიზლებისა, ფერისცვალებისა და გაკეთილშობილებისა...

დალი სოროზნიშვილი

სსიპ-ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე – ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები (ტომი IV, 1985წ.);

2. აკაკი ბაქრაძე – „რწმენა“ (გამომცემლობა „მერანი“ , 1990წ.).

ინფორმაცია

მოსწავლეები ერთმანეთს ცოდნაში შეეჯიბრნენ

ბათუმში საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი 2016-2017“ ფინალური ღონისძიება გაიმართა. „ეტალონი 2016-2017“ სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტის „ეტალონი“ ფარგლებში იმართება და მისი ფინანსური მხარდამჭერი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა.

პროექტი მიზნად ისახავს: მოსწავლეებში განათლების პოპულარიზაციას, ცოდნის გაღრმავებისა და ინფორმაციის მოძიების ხელშეწყობას, დაინტერესების და მოტივაციის გაზრდას; პედაგოგთა შრომის ხელშეწყობას, დაფასებას, ნიჭიერი და გამორჩეული მოსწავლეების აღმოჩენას, წარმოჩენას და წახალისებას.

პროექტი ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა სკოლის უფროსკლასელებისთვის (VIII-XI კლასები), მიმდინარეობს ორ ეტაპად: პირველი ეტაპი – ტესტირებები სკოლებში, სპეციალური ვებპორტალის მეშვეობით, რომლის შედეგადაც ირკვევა მეორე ეტაპზე გადასულ მოსწავლეთა ვინაობა. მეორე ეტაპზე ღონისძიება-კონკურსები იმართება ადგილებზე (მუნიციპალიტეტებში და თვითმმართველ ქალაქებში), ცალ-ცალკე. მეორე ეტაპზე გადასული მოსწავლეები, ე.წ. ლაივ რეჟიმში, ეჯიბრებიან ერთმანეთს და ვლინდება გამარჯვებული – მუნიციპალიტეტის ან ქალაქის/ რაიონის „ეტალონი მოსწავლე“.

2016-2017 სასწავლო წლის ინტელექტ-ჩემპიონატი 2016 წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობდა და ბათუმში გრანდიოზული ფინალით დასრულდა. „საქართველოს ეტალონი მოსწავლე“ გახდა ლაილაშის სკოლის მოსწავლე **ვახტანგ ჩაჩხიანი**.

ფინალურ ღონისძიება-კონკურსში მონაწილეობდა 83 „ეტალონი მოსწავლე“, რომლებმაც საკუთარი მუნიციპალიტეტები/თვითმმართველი ქალაქები წარმოადგინეს: ქალაქ თბილისის 10 რაიონი, აფხაზეთის ა/რ სკოლები და აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტი – მათ შორის გამოვლინდა 2016-2017 სასწავლო წლის „საქართველოს ეტალონი მოსწავლე“.

საყურადღებო სტატისტიკა: 2016 წლის ოქტომბრიდან, საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატში ჩართული სკოლების რაოდენობა შეადგენს 1 833 სკოლას (პროექტში ჩართვის შესაძლებლობის მქონე სკოლების 96,4%), პროექტში ჩართულ მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 39 416 მოსწავლეს, მეორე ეტაპზე გადასული მოსწავლეთა რაოდენობაა 5 475. ღონისძიებებზე დასამწრე გულშემატკივართა და პირდაპირ დაინტერესებულ პირთა რაოდენობა – 157 664 ადამიანი.

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი 2016-2017“ ფინალურ ღონისძიებას, მონაწილეებთან და ორგანიზატორებთან ერთად, პროექტის მხარდამჭერები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„ძალიან მიხარია, დარბაზში ამდენ „საქართველოს ეტალონს“ რომ ვხედავ. მიხარია, როგორც საქართველოს ერთ-ერთ რიგით მოქალაქეს, რომ ჩვენ გვყავს ამდენი ახალგაზრდა „ეტალონი“, საუკეთესო მოსწავლე, რომლებზეც უნდა გააკეთონ სწორება სხვა ბავშვებმა ცოდნით, მონდომებით, ენთუზიაზმით, შრომით. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი, ვამაყობ, რომ ჩვენ, სამინისტრომ, მთავრობის დაფინანსებით, მოვახერხეთ, რომ ისეთი პროექტი, როგორიც არის ინტელექტის ჩემპიონატი, დაგვეფინანსებინა და დღეს თქვენ გქონოდათ საშუალება, დასწრებოდით ამ საზეიმო ღონისძიებას, ყველას ერთად გეზეიმათ ეს გამარჯვება, რომელსაც ჰქვია ცოდნის ეტალონად ქცევა. ამაში ძალიან დიდი როლი მიუძღვის, რა თქმა უნდა, ბატონ გოჩა ტყეშელაშვილს, რომელმაც ეს იდეა მოიტანა ჩვენამდე, განავითარა და მთელი ამ პროცესების განმავლობაში, რომელიც რაიონებში მიმდინარეობდა, ენთუზიაზმი და მონდომება არ დაუკლია ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად. გილოცავთ, როგორც მინისტრის და პირადად ჩემი სახელით, ასევე მთლიანად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელით. ცოდნა ეტალონია. ცოდნით მიღებული წარმატება ყველაზე დიდი ბედნიერებაა. კიდევ უფრო მეტ წარმატებას გისურვებთ პროექტის მონაწილეებს.*

მინდა დაიმახსოვროთ ეს სახეები, რომლებიც სცენაზე არიან, ეს არის მომავალი, ძლიერი საქართველო. რა ხდება დღეს საქართველოს სკოლებში? – ხშირად სვამენ ამ შეკითხვას. აი, ეს ხდება, ჩვენ მომავლის ადამიანურ კაპიტალს ვქმნით. ყველას გილოცავთ, იმიტომ რომ, ამ გამარჯვებაში თითოეული თქვენგანის – ბავშვების, მშობლების, სკოლების დირექტორების, მასწავლებლების, მხარდამჭერების – წვლილია.“

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი 2016-2017“ ფინალურ ღონისძიებაში 83 მოსწავლე მონაწილეობდა. გამარჯვებულთა გამოცხადების და დაჯილდოების ცერემონია სწორედ 83-ე მონაწილის დაჯილდოებით დაიწყო. *„წელს ჩვენ დავუშვით 83-ე მონაწილე – **მიხეილ პაპუნიძე** , გიორგი ერმაკოვის თხოვნით და ბათუმელების შუამდგომლობით. ჩემმა მეგობარმა, თანამოაზრემ, ფოთში მოღვაწე ბიზნესმენმა დავით დანელიამ გადაწყვიტა, ის დაეჯილდოებინა, რა ადგილიც არ უნდა დაეკავებინა და მას საკმაოდ სოლიდური პრემია გადაეცა, რომ ისწავლოს. გიორგი ერმაკოვმა მიხეილს სპეციალური წიგნი გადასცა საჩუქრად.“* – გამოაცხადა **გოჩა ტყეშელაშვილმა**.

ფინალური კონკურსის საპრიზო ადგილების მფლობელებს გადაეცათ ფულადი პრიზები და საჩუქრები. ადგილები ასე გადანაწილდა:

❖ საპატიო მე-9 ადგილი – ჩხოროწყუ, კირცხის საჯარო სკოლის მეათეკლასელი **მარიამ სოსელია**, დიპლომი და 1000-ლარიანი პრემია (დააწესა დეპუტატმა მესტიიდან, ვიქტორ ჯაფარიძემ), დააგროვა 85 ქულა – 65 წამში;

❖ საპატიო მე-8 ადგილი – თბილისის 83-ე საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი **ნათია ფანცულაია**, დიპლომი და 1000-ლარიანი პრემია (დააწესა თელავის მაჟორიტარმა დეპუტატმა გელა სამხარაულმა), 85 ქულა – 58 წამში;

❖ საპატიო მე-7 ადგილი – ლანჩხუთის მე-2 საჯარო სკოლის მეათეკლასელი **სალომე ჩიკაშუა**, 1000-ლარიანი პრემია (დააწესა „კულამ“) 85 ქულა – 54 წამში;

❖ საპატიო მე-6 ადგილი – სენაკი, **რეზი ხურცია**, 1000-ლარიანი პრემია (დააწესა „კულამ“), 85 ქულა – 47 წამში;

❖ საპატიო მე-5 ადგილი – ჩოხატაურის პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი **გივი მდინარაძე**, 1000-ლარიანი პრემია (დააწესა „ახალმა ნათებამ“), 87 ქულა;

❖ საპატიო მე-4 ადგილი – ზესტაფონი, კერძო სკოლა „ანაბასისი“, **ლუკა სამხარაძე**, 1000-ლარიანი პრემია (დააწესა „ახალმა ნათებამ“), 89 ქულა – 126 წამში;

პრიზიორთა პირველი სამეული ასე გამოიყურება:

❖ მე-3 ადგილი – **შოთა ჩახუნაშვილი**, ვანი, ზედავანის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელი; დიპლომი გადასცა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჩუქარი – კომპიუტერის 500-ლარიანი ვაუჩერი – განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა, ია ვახტანგიშვილმა; კომპანიამ „გზა“ – 4000 ათასი ლარი; 90 ქულა – 93 წამში;

❖ მე-2 ადგილი – **სოფო ყარალაშვილი**, სიღნაღი, საქობიოს საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი; დიპლომი გადასცა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა, სპეციალური დიპლომი, სპეციალური საჩუქარი და ვაუჩერი – განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა, ქეთი გრიგოლიამ; კომპანიამ „ბათმშენი 2007“ – 6000 ლარი; 90 ქულა– 74 წამში;

❖ პირველი ადგილი – **ვახტანგ ჩაჩხიანი**, ცაგერი, ლაილაშის საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან– 1000-ლარიანი ვაუჩერი და სპეციალური პრიზი გადასცა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ლია გიგაურმა, დიპლომი გადასცა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა, კომპანიებმა – „ანაგი“ და „ორბი“ – 5000-5000 ლარი; 90 ქულა – 72 წამში.

გიორგი ერმაკოვი, ბათუმის მერი: *„მოგესალმებით ყველას, ბათუმელებს, ჩვენს სტუმრებს. მინდა ყველა მონაწილეს, ბატონი გოჩას ხელმძღვანელობით, დიდი მადლობა გადავუხადო, რომ მოგვეცა საშუალება, დღევანდელი დღე, ეს ფინალური კონკურსი ჩატარებულიყო ბათუმში. რატომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, ბატონ გოჩასთან ერთობლივად? იმიტომ, რომ შარშანდელი კონკურსის გამარჯვებული ჩვენი რეგიონის მკვიდრი, ქობულეთელი მოსწავლე იყო, ამიტომ გადავწყვიტეთ ფინალური შეხვედრა ბათუმში ჩატარებულიყო. ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ბათუმის საკრებულოს, რომელმაც მხარი დაგვიჭირა და ამ პროექტს მისცა საშუალება, განხორციელებულიყო.*

მინდა ბატონ გოჩას გადავუხადო დიდი მადლობა არაჩვეულებრივი ორგანიზებისათვის. რაც ყველაზე მთავარია, იმ კარგ ადამიანებს, იმ გულშემატკივრებს, ვინც ამ პროექტს გვერდით დაუდგა და ასეთი უამრავია, მაგრამ განსაკუთრებით გამოვყოფ იმ ადამიანებსა და იმ კომპანიებს, ვინც მხარი დაგვიჭირა, კეთილი ნება გამოხატა და ამ არაჩვეულებრივი პრიზიორებისთვის – პირველი, მეორე და მესამე ადგილების მფლობელებისათვის – ფულადი ჯილდოები დააწესა. მინდა, ასევე მადლობა გადავუხადო მასწავლებლებს, ვინც ეს ცოდნა შესძინა ბავშვებს, ვინც დაეხმარა მათ ამ ცოდნის მოპოვებაში. დღევანდელ დღეს გამარჯვებული მხოლოდ პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული არ არის, ყველა გამარჯვებულია, იმდენად კარგი და არაჩვეულებრივი პროექტია.“

ვახტანგ ჩაჩხიანი, „საქართველოს ეტალონი მოსწავლე“: *„მადლობა ასეთი კარგი პროექტის განხოციელებისთვის. მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც გვერდში მედგნენ, ვინც დამეხმარა გამარჯვების მოპოვებაში.“*

სოფო ყარალაშვილი: *„დიდი მადლობა ყველას, დამსწრე საზოგადოებას, ჩვენს გულშემატკივრებს, ასევე მათ, ვინც გაგვილამაზეს ეს დღე. ძალიან საპასუხისმგებლოა ჩემთვის მეორე ადგილის დაკავება.“*

გოჩა ტყეშელაშვილი: *„არაფერი შემთხვევით არ ხდება. დღეს მე უბედნიერესი ადამიანი ვარ იმიტომ, რომ თქვენ მყავხართ გვერდით. ყოველ ღამე, როცა ვიძინებ და ჩემს ქვეყანაზე ვფიქრობ, თითოეული თქვენგანის თვალები მესიზმრება და თქვენ გხედავთ. ეს არც პოლიტიკური და არც სახელმწიფოებრივი გამოსვლაა, ეს მამულიშვილური გამოსვლაა. იცოდეთ, ჩემი სხეულით, სულით ბოლომდე ვიხარჯები იმისთვის, რომ თქვენ ეს დღესასწაული მოგიწყოთ. გილოცავთ დღევანდელ დღეს. ყველაფერი უფლის ნებაა.“*

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესასრულებელი სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესასრულებელი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე



ფასი – 15 ლარი

პროფესიული უნარების სახელმძღვანელო დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK